



საპროფესიო  
საბარგო  
ბარო  
საპროფესიო

# აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების სტანდარტები



თბილისი 2020



**USAID**  
ამერიკელი ხალხისათვის

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

## ადკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „ადმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას, გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას კვლევის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორები: თამარ ბოჭორიშვილი  
ბემა თაბალანძე

კვლევის მე-2 თავის ავტორი: ალექსანდრე პრემბანტი -  
საერთაშორისო ექსპერტი

მთარგმნელი: ნატო ზმუხაძე

ყდის დიზაინი: თეონა კერესელიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

კვლევის ხელმძღვანელი: მერაბ ქართვილიძე

---

---

აიწყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება  
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	7
მეთოდოლოგია .....	8
ძირითადი მიგნებები .....	10
<b>I. საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა .....</b>	<b>15</b>
შესავალი .....	15
სისხლის სამართალწარმოებისას საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განმტკიცებული ფუძემდებლური პრინციპები .....	15
უდანაშაულობის პრეზუმფცია .....	15
თავისუფლების უფლება .....	17
სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება .....	18
შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში .....	19
დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება .....	20
ადკვეთის ღონისძიების სახეები და სასამართლოში არსებული პრაქტიკა .....	21
პატიმრობა, როგორც ადკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახე .....	21
გირაოს გამოყენებისას არსებული პრაქტიკული და საკანონმდებლო ასპექტები .....	28
პირადი თავდებობის შეფარდების დამაბრკოლებელი გარემოებები .....	41
ადკვეთის ღონისძიების სახედ გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების შეზღუდულად გამოყენება .....	44

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ე.წ. დამატებითი აღკვეთის ღონისძიებების მნიშვნელობა და პრაქტიკული გამოყენება .....	47
ინტერვიუში მონაწილე პირების მოსაზრებები აღკვეთის ღონისძიებათა სახეების გაფართოებასთან დაკავშირებით .....	49
<b>II. საერთაშორისო სტანდარტები</b>	
<b>და სხვა ქვეყნების პრაქტიკა</b> .....	52
მესავალი .....	52
სისხლის სამართალწარმოებაში აღკვეთის ზომების გამოყენებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები .....	53
უდანაშაულობის პრეზუმფცია .....	53
თავისუფლების უფლება .....	54
დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ სწრაფი, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება .....	60
აღკვეთის ღონისძიების ქმმარიტი და რეგულარული გადასინჯვის უფლება .....	61
საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ძირითადი დაბრკოლებები .....	63
პროცედურული და პრაქტიკული ბარიერები .....	68
კულტურული ბარიერები .....	72
პატიმრობის ალტერნატიულ ღონისძიებებთან დაკავშირებით არსებული ცუდი პრაქტიკა .....	74
ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა .....	77
მესავალი .....	77
პატიმრობის გამოყენების შეზღუდვები .....	78

კანონით განსაზღვრული სრული გათავისუფლების უფლება .....	78
პირობითი გათავისუფლება .....	80
სრულად დასაბუთებული გადაწყვეტილება .....	85
სახელმძღვანელო პრინციპები და სავალდებულო გადამზადება .....	86
მონაცემების რეგულარული შეგროვება და ანალიზი .....	87
შეჯამება .....	87
<b>III. აღკვეთის ღონისძიების სახეების გაფართოების კონცეფცია .....</b>	<b>89</b>
შესავალი .....	89
შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ .....	89
გირაო .....	90
შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე .....	90
რეფორმის შემდგომი ეტაპები .....	91
<b>IV. დასკვნა და რეკომენდაციები .....</b>	<b>93</b>
დასკვნა .....	93
რეკომენდაციები .....	94



## შესავალი

სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა და აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საპროცესო იძულების ზომას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ზოგადად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მტკიცებულებების განადგურების, მოწმეებზე ზემოქმედებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციის მიზნით. სისხლის სამართლის თითოეულ საქმეზე უნდა დადგინდეს, რეალურად მომდინარეობს თუ არა ბრალდებულისგან ზემოხსენებული საფრთხეები და მოსამართლემ ამის შემდეგ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას აქვს პრევენციულ-უზრუნველყოფი ხასიათი. მისი მიზანი არ არის პირის ბრალულობის მტკიცება, არამედ იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას.<sup>1</sup>

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიებათა შემდეგ სახეებს: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარდლობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყურეობა. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულის მიმართ, ძირითად აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, გამოიყენოს დამატებითი ზომები, მაგალითად: პასპორტის ჩამორთმევა, დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, ელექტრონული მონიტორინგის განხორციელება. დღესდღეობით პრაქტიკაში, ძირითადად, ორი სახის აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება – პატიმრობა და გირაო. სხვა ალტერნატიული ღონისძიებების შეფარდება, ფაქტობრივად, არ ხდება.<sup>2</sup>

კვლევის მიზანი იყო, გაგვერკვია, აღნიშნულ მონაცემებს მხოლოდ სასამართლო პრაქტიკა განაპირობებს, თუ ხარვეზები კანონმდებ-

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი №6466 II-40.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებული სტატისტიკა, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019w-statistic-7.pdf>



ლობაშიც მოიძებნება; რამდენად აქვს მოსამართლეს ფართო დისკრეცია იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს ის აღკვეთის ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელის სათანადო ქცევას, გაამართლებს აღკვეთის ღონისძიების მიზანს, გაანეიტრალებს არსებულ რისკებს და საფრთხეებს და, იმავდროულად, არაპროპორციულად არ შეზღუდავს ბრალდებულის უფლებებს.

კვლევაში გაანალიზებულია აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებით არსებული ეროვნული კანონმდებლობა და საერთო სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკა, ასევე, საერთაშორისო სტანდარტები, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპულ ქვეყნებში არსებული კანონმდებლობები. საიამ, ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, შეიმუშავა რეგულაციური რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებებისთვის, რაც ხელს შეუწყობს აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებით კანონმდებლობისა თუ სასამართლო პრაქტიკის დახვეწასა და სრულყოფას.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია ადგილობრივი **კანონმდებლობის ანალიზი**. კვლევის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს, გატარებული რეფორმებისა და მის საფუძველზე განვითარებული პრაქტიკის შეფასება. სწორედ ამიტომ, კვლევის ფარგლებში საიამ გააანალიზა რეგულაციური სამართლებრივი აქტები, ასევე, შეისწავლა და დაამუშავა საჯარო ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებიდან.

კვლევაში მიმოხილულია სისხლის სამართალწარმოებაში არსებული აღკვეთის ღონისძიების შესახებ საერთაშორისო სტანდარტები, ასევე, შეჯამებულია ამ სტანდარტების დანერგვის კუთხით ეროვნულ იურისდიქციებში არსებული დაბრკოლებები და საუკეთესო პრაქტიკა.<sup>3</sup> საერთაშორისო ექსპერტმა ალექსანდრე პრეზანტიმ გააანალიზა **საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა**, რის

---

<sup>3</sup> ინგლისი და უელსი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ესპანეთი, იტალია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, ირლანდია, უნგრეთი და საბერძნეთი.

საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ქართული რეალობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის პროცესში გამოყენებული იყო **თვისებრივი მეთოდები**, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები. 2019 წლის 19 აპრილიდან 25 მაისამდე პერიოდში, კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა თბილისის, ქუთაისის, თელავის საქალაქო სასამართლოებისა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს 13 მოსამართლესთან. ასევე, შედგა ფოკუსჯგუფი ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტთან, გამოკითხვა ჩატარდა 15 პროკურორთან და, დამატებით, 6 ადვოკატთან.

ინტერვიუებისა და გამოკითხვის შედეგები სრულად წარმომადგენლობითი არ არის და მათი განზოგადება საქართველოში მოქმედ ყველა მოსამართლეზე, პროკურორსა და ადვოკატზე შეუძლებელია. თუმცა, სამიზნე ჯგუფების მიხედვით, პასუხებსა და არგუმენტაციაში შეინიშნებოდა ერთმანეთის მსგავსი კომენტარების ტენდენცია, რაც იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ, მთლიანობაში, ინტერვიუებისა და გამოკითხვის შედეგები ასახავს ძირითად მიდგომებს.

საიამ ქვეყნის დიდი ქალაქების სასამართლოებიდან გამოითხოვა და გააანალიზა **განჩინებები** იმ დანაშაულებზე, რომლებზეც სასჯელის ზომად განსაზღვრულია არაუმეტეს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა აღკვეთის დონის დიების გამოყენება. სასამართლოების ნაწილმა არასრულად ან საერთოდ არ გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია. საბოლოოდ, კვლევის ჯგუფმა 2018 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდის 37 განჩინება შეისწავლა.<sup>4</sup>

გამოვლენილ მიგნებებზე დაყრდნობით მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები და საკანონმდებლო წინადადებები. საია იმედოვნებს, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოხერხდება აღკვე-

---

<sup>4</sup> ქუთაისის საქალაქო და გორის რაიონული სასამართლოებიდან. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ მოგვარა განჩინებები. გამოთხოვნილი იყო 2018 წლის ივლისი-დეკემბრის თვეში გამოცემული განჩინებები სსკ-ის შემდეგ მუხლებთან დაკავშირებით: 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 238<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 273-ე მუხლი და 273<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილები.

თის ღონისძიებათა სისტემის იმგვარი კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაუახლოვდება მაღალ სტანდარტებს და უზრუნველყოფს ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## **ძირითადი მიზნები**

### **პატიმრობის გამოყენება**

- ქართული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პატიმრობა - თავისუფლების მაქსიმალური შეზღუდვა - ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა. პატიმრობა არ უნდა იყოს საწყისი წერტილი აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არამედ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა სხვა ღონისძიება მიჩნეული იქნება მიზანშეუწონლად.
- უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა, საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშები, შესწავლილი განჩინებები და ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ უმრავლეს შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოიყენება პატიმრობა და გირაო.
- ინტერვიუებში მოსამართლეების, ადვოკატების და პროკურორების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს და პატიმრობის გამოყენების მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების სახეების დეფიციტი, რაც მოსამართლეს ართმევს ფართო დისკრეციას.
- უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2016 წლიდან გაზრდილია პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი. კერძოდ, წლების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი პროცენტებში ასე გამოიყურება: 2016 წელი – 29%, 2017 წელი – 34%, 2018 წელი – 43%, 2019 წლის 11 თვის მონაცემებით კი – 47%.
- ინტერვიუებში მოსამართლეები მიუთითებენ, რომ პატიმრობის გამოყენების მზარდ ციფრს განაპირობებს კრიმინალის, ოჯახში ძალადობის, განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულების ზრდა.

- კვლევის ფარგლებში გამოკითხული ადვოკატები მიუთითებენ, რომ პრაქტიკაში პატიმრობის პერიოდულ გადასინჯვას აქვს ფორმალური ხასიათი და სასამართლო, ძირითადად, პატიმრობას კვლავ ძალაში ტოვებს ისე, რომ სასამართლო სხდომაზე მის აუცილებლობას არ ასაბუთებს.

### **გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები**

- საერთაშორისო სტანდარტებისა და უცხო ქვეყნების პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ფულადი გირაო წარმოშობს უთანასწორობას სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ და რასობრივ ჯგუფებს შორის და იწვევს სისხლის სამართლის სისტემისადმი ნდობის დაკარგვას. ფულად გირაოზე, როგორც პატიმრობის მთავარ ალტერნატივაზე დაყრდნობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს თავისუფლების უფლების დარღვევა.
- ინტერვიუებში მოსამართლეების ნაწილი საუბრობს, რომ ხშირად, პროცესზე გამოკვლევის შედეგად, პროკურატურისგან ვერ იღებს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე სარწმუნო ინფორმაციას, რაც, საბოლოოდ, მოსამართლეს ურთულესს საქმეს, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება გირაოს თანხასთან დაკავშირებით.
- ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზმა და ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კანონში ჩანაწერი იძლევა შესაძლებლობას, ორგვარად განიმარტოს ნორმა – გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. პროკურორთა უმრავლესობამ და მოსამართლეთა ნაწილმა აღნიშნეს, რომ არსებული რეგულაციით, დაკავებული პირის მიმართ გირაოს შეფარდების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. მოსამართლეთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩანაწერი ბუნდოვანია და მოსამართლეს აქვს დისკრეცია, თავად განსაზღვროს, გამოიყენოს გირაო თუ გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.
- გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ანალიზმა ცხადყო, რომ არის შემთხვევები, როდესაც პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით,

თუმცა, გირაოს თანხის გადაუხდელობის გამო ბრალდებული რჩება პატიმრობაში, რაც *დე ფაქტო* ნიშნავს სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენებას.

- ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ პროკურორთა ნაწილი, ადვოკატთა აბსოლუტური უმრავლესობა და მოსამართლეების დიდი ნაწილი ემხრობა, შეიცვალოს კანონმდებლობაში ჩანაწერი და მოსამართლეს მიეცეს შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს, რომელი ტიპის გირაოს გამოიყენებს დაკავებული პირის მიმართ.

### **ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების სახეების სიმწირე**

- საერთაშორისო სტანდარტებისა და უცხო ქვეყნების პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ პატიმრობის ალტერნატივების არასაკმარისი რაოდენობა ზღუდავს სასამართლოს, შეაფასოს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების აუცილებლობა, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს არაპროპორციული ღონისძიების შეფარდება. ეფექტური ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების ნაკლებობა აზრს უკარგავს პრინციპს, რომლის თანახმად, პატიმრობა არის „უკიდურესი ზომა“.
- პროკურორთა დიდი ნაწილის თქმით, პირადი თავდებობის გამოყენების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი ნაკლებეფექტური ღონისძიებაა. ამასთან, დაცვის მხარე მას იშვიათად შუამდგომლობს ან/და შუამდგომლობს დაუსაბუთებლად. მოსამართლეების უმრავლესობა ინტერვიუებში მიუთითებს დაცვის მხარის პასიურობაზე. მათი განმარტებით, პირადი თავდებობის გამოყენებისთვის სასამართლოს მხარის შუამდგომლობა უსაჭიროება.
- ადვოკატების განმარტებით, სასამართლოს მიერ დღეს დადგენილი პრაქტიკით, აზრს მოკლებულია პირადი თავდებობის გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დაყენება, ვინაიდან სასამართლო მას მაინც იშვიათად აკმაყოფილებს.
- კანონმდებლობის ანალიზმა და ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახის – შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ – გამოყენების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ ამ ტიპის ღონის-

ძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომლებისთვისაც სასჯელის ზომად გათვალისწინებულია არაუმეტეს 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

- განჩინებების ანალიზმა ცხადყო, რომ 37 შემთხვევიდან, როდესაც სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა, ბრალდებულისთვის შეეფარდებინა ნებისმიერი სახის აღკვეთის ღონისძიება, მხოლოდ 3 შემთხვევაში გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, დანარჩენ 34-ვე შემთხვევაში კი, შეუფარდა გირაო ან პატიმრობა. ამასთან, საია მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებებიდან, ბრალდებულის პიროვნებიდან, წარდგენილი ბრალდებიდან გამომდინარე, კიდევ 8 შემთხვევაში (22%) მოსამართლეს შეეძლო აღკვეთის ღონისძიების სახედ გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება.
- განჩინებების ანალიზმა აჩვენა, რომ 37 შემთხვევიდან დაცვის მხარემ მხოლოდ 4 შემთხვევაში იშუამდგომლა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

### **აღკვეთის ღონისძიების სახეების ფართო სპექტრი**

- საერთაშორისო სტანდარტებისა და უცხო ქვეყნების პრაქტიკამ აჩვენა, რომ არ არსებობს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების საერთაშორისო დონეზე დადგენილი ნუსხა. აუცილებელია, ეროვნულმა კანონმდებლობამ უზრუნველყოს ეფექტური ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი, რაც სასამართლოებს მათი გამოყენებისთვის ფართო დისკრეციას მიანიჭებს.
- ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე პროკურორების, ადვოკატების და მოსამართლეების დიდი ნაწილი ემხრობა იდეას, მოეხსნას შეზღუდვა გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით დადგენილ ნორმას, რომელიც ითვალისწინებს მის გამოყენებას მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება დასაშვებია ნაკლებად მძიმე ან/და გაუფრთხილებლობით ჩადენილ

დანაშაულებზე, ხოლო მეორე ნაწილის აზრით, ალკვეთის ღონისძიების სახე საერთოდ არ უნდა იყოს მიბმული დანაშაულის სიმძიმესა თუ სასჯელის ოდენობაზე.

- გამოკითხულ მოსამართლეთა და პროკურორთა მცირე ნაწილი, ასევე, ალკვატების დიდი ნაწილი ემხრობა იდეას, რომ დამატებითი ალკვეთის ღონისძიების სახეების გამოყენება შესაძლებელი გახდეს დამოუკიდებლად, როგორც ძირითადი ალკვეთის ღონისძიებები.
- ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მოსამართლეთა და ალკვატთა აბსოლუტური უმრავლესობა, ასევე, პროკურორების მცირე ნაწილი ემხრობა იდეას, გაიზარდოს ძირითადი ალკვეთის ღონისძიების სახეები, რაც მისცემს სასამართლოს ფართო დისკრეციას ალკვეთის ღონისძიების სახეების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- ზემოაღნიშნული იდეის მომხრე მოსამართლეები, პროკურორები და ალკვატები ემხრობიან ალკვეთის ძირითადი ღონისძიების შემდეგი სახეების დამატებას: ელექტრონული მონიტორინგი; შინაპატიმრობა; პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა; გარკვეული ადგილების მონახულებისა და გარკვეულ დროს საცხოვრებელი სახლის დატოვების აკრძალვა.

# I. საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა

## შესავალი

წინამდებარე თავის მიზანია აღკვეთის ღონისძიების სახეებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი, მისი შედარება 2009 წლამდე არსებულ პროცესთან, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მთავარი პრინციპების გამოკვეთა და არსებული საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება. ამასთან, შეფასებულია სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, გაანალიზებულია სტატისტიკის, სასამართლო მონიტორინგისა და განჩინებების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემური საკითხები. ჩადრმავებული ინტერვიუების მეშვეობით, გადმოცემულია პროკურორების, მოსამართლეებისა და ადვოკატების მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

## სისხლის სამართალწარმოებისას საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განმტკიცებული ფუძემდებლური პრინციპები

ამ ნაწილში მიმოხილულია ადგილობრივი კანონმდებლობით რეგულირებული საკითხები, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესს უდევს საფუძვლად და რომელთა გამოყენება სავალდებულოა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროსაც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით. ქართული კანონმდებლობა, ძირითადად, იზიარებს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფლებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა, შეჯიბრებითობა, ასევე, დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ სწრაფი, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

## უდანაშაულობის პრეზუმფცია

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ



ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.<sup>5</sup> ანალოგიურს იმეორებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.<sup>6</sup>

პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაუშვებელია პირის ბრალულობის დადგენა მის მიმართ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე. უდანაშაულობის პრეზუმფცია უკრძალავს როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს, ისე სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებს, რომ ბრალდებულს, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს, ისე მოეპყრონ, როგორც დამნაშავეს, ვიდრე მისი ბრალულობა არ იქნება დადგენილი კანონის შესაბამისად წარმოებული პროცესის საფუძველზე გამოტანილი განაჩენით.<sup>7</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უდანაშაულობის პრეზუმფცია გრძელდება სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დასრულების შემდგომაც, როდესაც პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგება. აღნიშნულის მიზანია, გაქარწყლდეს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული შესაძლო არაჯანსაღი შეხედულებები გამართლებული პირის დამნაშავეობასთან დაკავშირებით და აღიკვეთოს მისი უსამართლო სტიგმატიზაცია.<sup>8</sup>

უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედება ვრცელდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან მთელი სამართალწარმოების პერიოდზე, *res judicata* განაჩენის დადგენამდე,<sup>9</sup> მათ შორის, პირველი წარდგენის სხლომაზეც, სადაც ხდება ბრალდებულის მიმართ

<sup>5</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31 (5).

<sup>6</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

<sup>7</sup> ლალიაშვილი თ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბ. 2015, გვ. 110.

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/7/636, 29 დეკემბერი, 2016. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 31.

<sup>9</sup> X. v Federal Republic of Germany, ECtHR, 18/04/1964; Stefan Trechsel, Human Rights in Criminal Proceedings, OUP, 2006, 163; Imbrioscia v. Switzerland, ECtHR 24/11/ 1993, Kraska v. Switzerland, ECtHR, 19/04/1993; Hornsby v. Greece, ECtHR,19/03/1997.

აღკვეთის ღონისძიების საკითხზე მსჯელობა. სასამართლო თავის უფლებამოსილებას (მათ შორის, განაჩენის კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმებას) უნდა ახორციელებდეს ბრალდებულის უდანაშაულობის რწმენით იმისთვის, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს თავის დაცვის სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.<sup>10</sup>

### **თავისუფლების უფლება**

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის თავისუფლების უფლება.<sup>11</sup> საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება მისი დაპატიმრების აუცილებლობა.<sup>12</sup> აღნიშნული უფლება ადამიანს იცავს სამართალწარმოების ფარგლებში არამართლზომიერი და თვითნებური თავისუფლების შეზღუდვისგან.<sup>13</sup>

თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით,<sup>14</sup> რაც გულისხმობს, რომ უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, მაგრამ ექვემდებარება მკაცრ სასამართლო კონტროლს. თავის მხრივ, სასამართლომ პირის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება უნდა განიხილოს უდანაშაულობის პრეზუმფციისა და საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე. შესაბამისად, მოსალოდნელი საფრთხეები ვერ გადაწონის თავისუფლების სასარგებლოდ არსებულ პრეზუმფციას, თუ უტყუარი, რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით არ იქნება დადასტურებული პირის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა. სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.<sup>15</sup>

<sup>10</sup> Barbera, Messegue and Jabardo v. Spain, ECtHR, 13/06/1994, §77; Janosevic v. Sweden, ECtHR, 23/07/2002, §97.

<sup>11</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 13 (1).

<sup>12</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 5(4).

<sup>13</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06/04/2009 წლის გადაწყვეტილება #415, II-2, II-3.

<sup>14</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 13 (2).

<sup>15</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 6 (3).

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაკავების ორ წესს იცნობს: პირის დაკავებას მოსამართლის წინასწარი ნებართვით ან გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. პირის დაკავების თაობაზე წინასწარი ნებართვის მისაღებად პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე გამოსცემს შესაბამის განჩინებას. აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.<sup>16</sup> ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირის დაკავების კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, პირის დაკავება ხდება მოსამართლის ნებართვის გარეშე და პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო ამოწმებს როგორც დაკავების კანონიერებას, ისე გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული დაკავების საფუძვლიანობას.<sup>17</sup>

თავის მხრივ, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა უნდა ჩატარდეს დაკავებიდან არაუგვიანეს 72 საათში. პროკურორი პირის დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათში მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით,<sup>18</sup> ხოლო მოსამართლე შუამდგომლობის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათში მსჯელობს/უნდა მსჯელობდეს დაკავების კანონიერებისა და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხებზე.<sup>19</sup>

## **სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება**

ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება.<sup>20</sup> ყველა ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.<sup>21</sup>

<sup>16</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>17</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

<sup>18</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>19</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>20</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 8.

<sup>21</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31 (1).

სწრაფი მართლმსაჯულება გულისხმობს იმას, რომ ეროვნული კანონმდებლობა ადგენს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის განხილვის შემჭიდროებულ ვადას,<sup>22</sup> განსაზღვრავს ბრალდებულის პატიმრობის საერთო პერიოდს,<sup>23</sup> რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, ასევე, კანონმდებელი სასამართლოს ავალდებულებს, პრიორიტეტულად განიხილოს ის საქმეები, სადაც ბრალდებულები პატიმრობაში იმყოფებიან.<sup>24</sup>

სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი მოითხოვს სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფას, სამართალწარმოების სწრაფად და ჯეროვნად განხორციელებას, ხელს უწყობს ბრალდებულის გაურკვევლობაში ყოფნის, მის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების ხანგრძლივობისა და ბრალდებულის რეპუტაციის დაზიანების მინიმუმამდე შემცირებას.<sup>25</sup>

### **შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში**

მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით,<sup>26</sup> ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.<sup>27</sup> დღეს მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე, რაც გულისხმობს, რომ მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხოლოდ მხარეთა პრეროგატივაა. სასამართლოს დამოუკიდებლად ეკრძალება მტკიცებულებათა მოპოვება და გამოკვლევა.<sup>28</sup>

აღნიშნული პრინციპი ვრცელდება ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზეც, როდესაც სასამართლო განიხილავს აღკვეთის

<sup>22</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 197(1).

<sup>23</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 13(5). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 205(2).

<sup>24</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 8(3).

<sup>25</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, გვ.70, თბილისი, 2015. იხ. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sssk-komentari.pdf>.

<sup>26</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 62-ე მუხლი, პუნქტი 5.

<sup>27</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 9.

<sup>28</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 25(2).

ღონისძიების შეფარდების საკითხს. სასამართლო მსჯელობს იმ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რომლებიც მას ბრალდებისა და დაცვის მხარემ მიაწოდეს. სწორედ ამიტომ, მხარეებს ევალება, სასამართლოს წინაშე წარდგინონ დასაბუთებული არგუმენტებით, რათა სასამართლოს შეექმნას მაქსიმალურად სრული და სწორი წარმოდგენა საქმესთან დაკავშირებით. პროკურორი ვალდებულია, დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს კონკრეტული ადვოკატის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობა დაუსაბუთებელი ან არასაკმარისად დასაბუთებულია, სასამართლო შებოჭილია, დამოუკიდებლად მოიპოვოს ინფორმაცია. ასეთ დროს მოსამართლემ უარი უნდა თქვას პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

### **დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება**

ადვოკატის ღონისძიების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მართალია, მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება ცალსახად არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებული, თუმცა, გამომდინარეობს ამავე კოდექსის სხვადასხვა მუხლიდან. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.<sup>29</sup>

ასევე, კოდექსი განსაზღვრავს, რომ შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და ადვოკატის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.

სსსკ-ის 198-ე მუხლით განსაზღვრულია მიზნები და საფუძვლები, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება ადვოკატის ღონისძიება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ადვოკატის ღონისძიების შეფარდებას აქვს პრევენციულ-უზრუნველმყოფი ხასიათი. ადვოკატის ღონისძიების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება. მსჯელობა უნდა შეეხებოდეს, რამდენად მიზანშეწონილია მისი გამოყენება. ადვოკატის ღონისძიების ამოცანაა მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველყოფა. ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, სხვა პროცედურებთან ერთად, სასამართლო განიხილავს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული,

---

<sup>29</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 259 (1).

რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, ალიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. ალიკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ მიზნებს.

დასაბუთების ვალდებულება ვრცელდება როგორც განაჩენზე, ისე საპროცესო საკითხებთან დაკავშირებით გამოტანილ განჩინებებზე (მაგალითად, განჩინება ალიკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, სსსკ 111-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ და სხვა).<sup>30</sup>

ზოგადად, სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. აღნიშნული ხელს უწყობს მხარეების და საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი. განაჩენში მხარეთა პოზიციების ანალიზი და იმის დემონსტრირება, რომ მხარეთა არგუმენტები და საქმის არსებითი გარემოებები მოისმინეს და გაითვალისწინეს, უფრო მისაღებს ხდის მხარეებისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებას.<sup>31</sup> ამასთან, როდესაც გადაწყვეტილებიდან ნათელია, თუ რას უმყარება დასაბუთება, ეს მათ შესაძლებლობას აძლევს, ეფექტიანად ისარგებლონ გასაჩივრების უფლებით.<sup>32</sup>

## **ალიკვეთის ღონისძიების სახეები და სასამართლოში არსებული პრაქტიკა**

### **პატიმრობა, როგორც ალიკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახე**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პატიმრობა წარმოადგენს ყველაზე მკაცრ ალიკვეთის ღონისძიებას და გულისხმობს სასამართლოს განჩინებით განსაზღვრული ვადით ბრალდებულის მკაცრ იზოლაციას გარე სამყაროსგან. შესაბა-

<sup>30</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, გვ.75, თბილისი, 2015. იხ. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ssssk-komentari.pdf>.

<sup>31</sup> Boldea v. Romania, ECtHR, 15/02/2007, §30,15; Taxquet v. Belgium, ECtHR, (GC),16/11/2010, §89.

<sup>32</sup> Hadjianastassiou v. Greece, ECtHR, 16/12/1992, §33; Kuznetsov and Others v. Russia, ECtHR, 11/01/2007, §85.

მისად, პატიმრობის გამოყენებით იზღუდება ბრალდებულის სხვა უფლებებიც, რომელთა რეალიზაცია ობიექტურად შეუძლებელია თავისუფლების შეზღუდვის ადგილას, მაგალითად, მიმოსვლის თავისუფლება, დასაქმების უფლება, პირის კავშირი გარესამყაროსთან და სხვა.

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მნიშვნელოვანი შემზღუდველი გარემოებები არსებობდა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თვალსაზრისით. 1998 წლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პატიმრობა არ გამოიყენებოდა იმ დანაშაულებზე, რომლებიც სანქციის სახით არ ითვალისწინებდა 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, როგორც წესი, პატიმრობის გამოყენება მიზანშეუწონელი იყო მძიმე ავადმყოფის, არასრულწლოვნის, 12 კვირაზე მეტი ვადით ორსულის, ხანდაზმულის მიმართ (ქალი – 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან), აგრეთვე, პირის მიმართ, რომელსაც ჰყავდა 1 წლამდე ასაკის ბავშვი – თუკი მათ ჩაიღინეს დანაშაული გაუფრთხილებლობით ან/და კონკრეტული დანაშაულისთვის დაწესებული სასჯელი არ აღემატებოდა 3 წელს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულმა დაარღვია აღკვეთის ღონისძიების პირობა.<sup>33</sup>

დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვითაც სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ თუ სხვა პირობებს, თუმცა, ეს არ წარმოადგენს პატიმრობის გამოყენების დამაბრკოლებელ გარემოებას. იმავდროულად, მოსამართლე პატიმრობის შეფარდებისას არ არის შეზღუდული რომელიმე დანაშაულის კატეგორიით.

პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იყოს აცილებული:

- ბრალდებულის მიმალვა და მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეშლა;
- ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების ხელშეშლა;

---


<sup>33</sup> იხ. 1998 წლის 20 თებერვლის კანონის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

➤ ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

პრაქტიკაში პატიმრობასთან მიმართებით იკვეთება ორი პრობლემური საკითხი: პატიმრობის გამოყენების მაღალი მაჩვენებელი და დაუსაბუთებელი პატიმრობის შემთხვევები. საქართველოს საერთო სასამართლოების ოფიციალური მონაცემების დინამიკა მოწმობს, რომ ბოლო წლების განმავლობაში პატიმრობის გამოყენების რაოდენობა ერთმნიშვნელოვნად იზრდება.<sup>34</sup>

2016 წლის მონაცემების მიხედვით, პატიმრობა გამოყენებული იყო 29% შემთხვევაში; 2017 წელს – 34%; 2018 წელს – 43%,<sup>35</sup> ხოლო 2019 წლის თერთმეტი თვის მონაცემით პატიმრობა გამოყენებულია საქმეთა – 47%-ში.<sup>36</sup>

*ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით.*



<sup>34</sup> <http://www.supremecourt.ge/statistics/> მონაცემები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ.

<sup>35</sup> აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული 2017 და 2018 წლების სტატისტიკა - <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-7.pdf>.

<sup>36</sup> აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული 2019 წლის 11 თვის სტატისტიკა <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019w-statistic-7.pdf>.



ინტერვიუებში მოსამართლეთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ ბოლო პერიოდში პატიმრობის მზარდი მაჩვენებელი განპირობებულია კრიმინალის, განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულების ზრდით. ერთ-ერთ გარემოებად მიიჩნევენ ოჯახური დანაშაულების საქმეების ზრდას, რომლებთან მიმართებითაც გამკაცრებულია სახელმწიფო პოლიტიკა და ბრალდების მხარე, ძირითადად, პატიმრობის შუამდგომლობით შედის სასამართლოში.

**მოსამართლე:** „ზოგადად პატიმრობის გამოყენების მაღალი მაჩვენებელი დამოკიდებულია ბრალდების კატეგორიაზე და იმ მიზნებსა და საფუძვლებზე, რომლებიც კანონმდებელმა განსაზღვრა, თუკი იკვება ახალი დანაშაულის ჩადენის, მიმალვის, მოწმებზე ზემოქმედების საფრთხე. როგორც წესი, გამოძიების მიმდინარეობისას მოწმებზე ზემოქმედების რისკი ძალიან მაღალია, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის საქმეებზე, თუ პირი ნასამართლევი ან ანალოგიური დანაშაული აქვს ჩადენილი, არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. მიმალვის რისკებს დასაბუთებისას იშვიათად ვიყენებთ. მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე არ არის საკმარისი, თუ რამე სხვა გარემოებებიც არ ემატება, მაგალითად, ფინანსური შესაძლებლობები, საზღვარგარეთ კონტაქტი, მიმალვა დანაშაულის ჩადენისთანავე, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და სხვა. ზემოხსენებული საფრთხეების არსებობა კუმულაციურად არ არის საჭირო. აქედან ერთ-ერთიც საკმარისია და, მითუმეტეს, თუ ის მაღალი ხარისხისაა, საკმარისია მკაცრი ღონისძიების გამოსაყენებლად.“

კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვისას პროკურორები აღნიშნავენ რომ, ისინი პატიმრობის შუამდგომლობის გადაწყვეტილებას იღებენ, თუკი არსებობს სსსკ-ის 205-ე მუხლით გათვალისწინებული კანონისმიერი საფუძველი. ამასთან, ყურადღებას ამახვილებენ დანაშაულის სპეციფიკაზე, ხასიათსა და მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებაზე, აგრეთვე, ბრალდებულის პიროვნებაზე, მის წარსულზე, ნასამართლობასა და სახელმწიფოს საჯარო ინტერესებზე.

**პროკურორი:** „პროკურორის მიერ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ვერცერთი სხვა სახის აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს არსებული საფრთხეების განეიტრალებას. რა თქმა უნდა, ასეთ დროს პროკურორი მხედველობაში იღებს, ზოგადად, აღკვეთის ღონისძიების მიზნებსა

და საფუძვლებს, ასევე, უშუალოდ პატიმრობის გამოყენების კონკრეტული საფუძვლის არსებობის ფაქტს. მიმაჩნია, რომ ასეთ დროს პროკურორი არ არის მუხედული იმით, არსებობს თუ არა პატიმრობის გამოყენების ყველა საფუძველი. თუკი ერთ-ერთი მათგანი მაინც სახეზეა, ბრალდებულის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებელია პატიმრობის მოთხოვნა. პრაქტიკის მიხედვით, პატიმრობა გამოიყენება ნასამართლევ, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენი პირების მიმართ, რადგან მათი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის, მიმალვისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე მოჭარბებულია.“


საია არ იზიარებს მოსამართლეთა და პროკურორთა მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ყოველთვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ხდება. საიას სასამართლო მონიტორინგის №12 ანგარიშის მიხედვით, პატიმრობის გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების 12% იყო დაუსაბუთებელი,<sup>37</sup> ხოლო №13 ანგარიშის შესაბამისად, დაუსაბუთებელი პატიმრობის მაჩვენებელი განისაზღვრა 15%-ით.<sup>38</sup> ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენება მაშინ არის დაუსაბუთებელი, როდესაც გადაწყვეტილება არ ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, აბსტრაქტულად არის შეფასებული საფრთხეები და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებითაც შეიძლება შესაბამისი მიზნების მიღწევა. დაუშვებელია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ პირმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

*ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშებში საიას მიერ იდენტიფიცირებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები პატიმრობის შესახებ.*

<sup>37</sup> სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N12, გვ. 27. მონიტორინგის პერიოდი: 2017 წლის მარტი - 2018 წლის თებერვალი; <https://gyla.ge/files/news/2008/Court%20monitoring%20N-12%20GEO.pdf>.

<sup>38</sup> სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში №13, გვ.32. მონიტორინგის პერიოდი: 2018 წლის მარტი - 2019 წლის თებერვალი; <https://gyla.ge/files/news/ფონდი/ტურნირი/angrishi%20sasamrtlo.pdf>

## დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები პატიმრობის შესახებ



საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი იმპერატიულად მოითხოვს, რომ უპირატესობა ყოველთვის მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას. თავის მხრივ, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადამიანის თავისუფლება დაცულია“. კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი იცავს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას. მისი მიზანია, არ დაუშვას თავისუფლების უკანონოდ, დაუსაბუთებლად და თვითნებურად შეზღუდვა.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება სახელმწიფოსთვის მძიმე ტვირთს წარმოადგენს. ერთი წელი სრულწლოვანი პატიმრის შენახვა სახელმწიფოს 12,520 ლარი უჯდება, 1 თვის ხარჯი კი, 1,043 ლარს შეადგენს.<sup>39</sup> საიას შეფასებით, პატიმრობის შერჩევა უნდა მოხდეს სათანადო სიფრთხილით, მყარი არგუმენტაციისა და დასაბუთების პირობებში, როდესაც სხვა ალტერნატიული ღონისძიების შემაკავებელი ეფექტი გამორიცხულია.

<sup>39</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პასუხი N191438/01, თარიღი 28.06.2019 წელი. აღნიშნული მონაცემები მოცემულია კაპიტალური ხარჯების გარეშე.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების  
გადასინჯვის წესი

2015 წლის 8 ივლისის ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს პატიმრობის პერიოდული და ავტომატური გადასინჯვის ახალ საპროცესო მექანიზმს. მიღებული ცვლილებით სახელმწიფომ გამოსატყა ნება, აეწია სტანდარტი და აედო პასუხისმგებლობა, რომ მაქსიმალურად გაკონტროლდეს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა და ვადები.

თუკი პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულს შეეფარდება პატიმრობა, მისი გადასინჯვა სავალდებულოა:

- **წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შემთხვევაში** – წინასასამართლო სხდომის გამართვის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებიდან არაუგვიანეს 72 საათისა, სასამართლო იწვევს მხარეებს, რათა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვება.<sup>40</sup>
- **წინასასამართლო სხდომაზე** – თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია, პირველივე წინასასამართლო სხდომაზე საკუთარი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო ვალდებულია, თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც იმსჯელოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის თაობაზე.<sup>41</sup>
- **არსებითი განხილვის სხდომაზე** – თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე საკუთარი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც, განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული

<sup>40</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>41</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.<sup>42</sup>

ქართული კანონმდებლობა პატიმრობის გადასინჯვის ნაწილში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მისი ძალაში დატოვების მაჩვენებელი მაინც საგრძნობლად მაღალია. კვლევაში მონაწილე ადვოკატები მიუთითებენ, რომ, სამწუხაროდ, პრაქტიკაში პატიმრობის გადასინჯვას აქვს ფორმალური ხასიათი და სასამართლო მას, ძირითადად, უცვლელად ძალაში ტოვებს.

**ადვოკატი:** *პატიმრობის შეცვლა სხვა დონისძიებით ხდება ძალიან იშვიათად, მხოლოდ 1-2% შემთხვევაში. წინასასამართლო სხდომებსა და არსებითი განხილვის სხდომებზე პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი ფორმალურ ხასიათს ატარებს.*

სიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში №13 აჩვენებს, რომ პატიმრობის გადასინჯვა სასამართლოების მხრიდან ზედაპირულად ხდება. საია დაესწრო 190 წინასასამართლო სხდომას, სადაც პატიმრობის საკითხი გადაიხედა. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ შეფარდებული ადვოკატის დონისძიება - პატიმრობა 182 (96%) შემთხვევაში უცვლელად დატოვა, რომელთაგან 137 (75%) შემთხვევაში სხდომაზე არასაკმარისად ან საერთოდ არ დაასაბუთა პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობა.<sup>43</sup>

## **გირაოს გამოყენებისას არსებული პრაქტიკული და საკანონმდებლო ასპექტები**

გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ფულადი თანხა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ – სხვა პირს, სასამართლოსთვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, ასევე, სასამართლოში დროულად გა-

<sup>42</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 230<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>43</sup> საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №13 ანგარიში, გვ.49-50. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37mhONm>

მოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. ფულადი თანხის სანაცვლოდ შეტანილი უძრავი ქონება ყადაღდება. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს.

გირაო მიეკუთვნება აღკვეთის ღონისძიების მკაცრ სახეს, ვინაიდან ზღუდავს ბრალდებულის ქონებრივ უფლებებს. გირაოს მიზანია ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფა მისი საკუთრების უფლების შეზღუდვის გზით.<sup>44</sup>

1998 წლის 20 თებერვლიდან 1999 წლის 13 მაისამდე გირაოს თანხის ოდენობა არ იყო განსაზღვრული. 1999 წლის 13 მაისიდან გირაოს თანხის ოდენობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო შრომის ანაზღაურების 100 მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, ხოლო 2005 წლის 25 მარტიდან გირაოს თანხის ოდენობა არ უნდა ყოფილიყო 2000 ლარზე ნაკლები. დღევანდელი მდგომარეობით კი, გირაოს თანხის მინიმალურ ოდენობად დადგენილია 1000 ლარი.

პრაქტიკაში ხშირად პრობლემურია გირაოს გამოყენება, რადგან იგი დამოკიდებულია ბრალდებულის ფინანსურ შესაძლებლობებზე. საერთო სასამართლოების სტატისტიკა აჩვენებს, რომ გირაო, პატიმრობასთან ერთად, ყველაზე ხშირად გამოყენებადი აღკვეთის ღონისძიების სახეა. ბოლო წლების მონაცემები გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებით შემდეგნაირად გამოიყურება: 2016 წელი - 61%; 2017 წელი - 61%; 2018 წელი - 55%.<sup>45</sup> 2019 წლის 11 თვის განმავლობაში კი, გირაოს გამოყენების მაჩვენებელმა აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 50% შეადგინა.<sup>46</sup>


*ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით.*

---

<sup>44</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, გვ. 575. თბილისი, 2015. იხ. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sssk-komentari.pdf>

<sup>45</sup> აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული 2017 და 2018 წლების სტატისტიკა - <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-7.pdf>

<sup>46</sup> აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული 2019 წლის პირველი 3 თვის სტატისტიკა - <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019w-statistic-7.pdf>



ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც ოფიციალური მონაცემებით 2019 წელს ქვეყანაში 467 284 საარსებო შემწეობის მიმღები ფიქსირდება (მთლიანი მოსახლეობის 12,5%-ზე მეტი),<sup>47</sup> აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მაღალი მაჩვენებელი ბადაებს გარკვეულ კითხვის ნიშნებს, რამდენად გამართლებული, რელევანტური და დასაბუთებულია მისი გამოყენება ბრალდებულთა ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით.

#### ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელობა გირაოს თანხის დანგარიშებისას

გირაოს თანხის ოდენობა უნდა განისაზღვროს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. პრაქტიკაში გირაოსთან დაკავშირებით იკვეთება რამდენიმე პრობლემა. მათ შორის, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ის, რომ სასამართლო, ძირითადად, არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. გირაოს ოდენობის განსაზღვრისას მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს:

<sup>47</sup> სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკა - [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1449](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1449).

- ბრალდებულის და მისი ახლო ნათესავების საკუთრებაში არსებული ქონება;
- ხომ არ არის ბრალდებული სოციალურად დაუცველი პირი;
- ბრალდებულის შემოსავალი;
- თუ ბრალდებული დასაქმებულია - მისი სამუშაო ადგილი და ხელფასი;
- ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა და მის კმაყოფილებაზე მყოფი პირები.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებულს გააჩნია არაერთი მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე უძრავი ქონება და სოლიდური სტაბილური შემოსავალი, გირაოს ოდენობად უნდა განისაზღვროს თანხის ის ოდენობა, რომელიც იქნება რეალურად შემაკავებელი ეფექტის გამომწვევი და არ იქნება არაგონივრულად მაღალი.<sup>48</sup> ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, დაასაბუთოს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების პროპორციულობა და მიზანშეწონილობა, ამასთან, სასამართლოს წარუდგინოს დასაბუთება გირაოს თანხის ოდენობასთან დაკავშირებით. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშში წლების განმავლობაში აპელირებს, რომ ბრალდების მხარეს ხშირად არ აქვს ინფორმაცია ან სათანადო დასაბუთება მოთხოვნილი გირაოს თანხის ოდენობის შესახებ.<sup>49</sup>

თავად პროკურორებიც აღნიშნავენ, რომ ყოველთვის არ ხდება ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლა და აღნიშნული ზოგჯერ ობიექტური გარემოებით არის განპირობებული.

- **პროკურორი:** *„შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის შესწავლას, თუმცა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, რთულია სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება. კერძოდ, მოქალაქეთა დიდი ნაწილი*

<sup>48</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, გვ. 578 - ხელმისაწვდომია: <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sssk-komentari.pdf>.

<sup>49</sup> იხილეთ საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშები: N11 - გვ. 5; N12 - გვ. 39.



შემოსავალს იღებს არარეგისტრირებული საქმიანობიდან. ასევე, დიდი იმ პირთა წრე, რომელთა შემოსავალს წარმოადგენს უცხოეთში მყოფი ნათესავების ფულადი გზავნილები. პრობლემას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ, პრაქტიკულად, პროკურორისთვის მარტივად ხელმისაწვდომია ინფორმაცია მხოლოდ ბრალდებულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასა და სატრანსპორტო საშუალებაზე, ხოლო მისი ხელფასის და საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია სამართლებრივ ბარიერებთან და, ამ კუთხით, მტკნოდად პროკურორისთვის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს თავად ბრალდებულის განმარტება (რომელიც, შესაძლოა, საერთოდ არ იყოს რეალური). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის სრულად დასადგენად საჭიროა ცალკე გამოძიების ჩატარება.“

მოსამართლეები ინტერვიუებში აღნიშნავენ, რომ ხშირად პროცესზე გამოკვლევის შედეგად მხარეებისგან ვერ იღებენ სარწმუნო ინფორმაციას ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე, რაც მათ გადაწყვეტილების მიღებას ურთულებს.


**მოსამართლე:** „გირაოსთან დაკავშირებით ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა ძალიან მიჭირს. გირაოს გადაწყვეტილების მიღება, კარგად მოგეხსენებათ, უნდა მოხდეს როგორც ბრალად შერაცხული ქმედების სიმძიმიდან, ისე ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. ხშირ შემთხვევაში ბრალდების მხარე ხაზს უსვამს ბრალად შერაცხული ქმედების სიმძიმეს, ხასიათს, სპეციფიკას და, იმავდროულად, საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. არის შემთხვევები, როდესაც არსებობს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი უძრავი ქონების თაობაზე, თუმცა, აღმოჩნდება, რომ ის ძველია და უძრავი ქონება უკვე გაყიდულია. ზოგჯერ ბრალდებული ბრალდების მხარეს პირად საუბარში რაღაცას უდასტურებს, მაგრამ პროცესზე სხვა რამეს ამბობს. დოკუმენტურ დონეზე ინფორმაციის მოტანა ყოველთვის უჭირს მხარეს. ეს შეიძლება ობიექტური მიზეზითაც იყოს განპირობებული. პირის დაკავების შემთხვევაში მას ბრალი 48 საათში უნდა წარუდგინონ, აღკვეთის ღონისძიებაც უნდა იშუამდგომლონ და ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის შესწავლას ვეღარ ასწრებენ. თუმცა, ზოგჯერ, ელემენტარულად, რეესტრიდან ამონაწერს ან სოციალურად დაუცველთა ბაზიდან მონაცემებსაც კი არ წარმოადგე-

*ნენ. შესაბამისად, ბრალდების მხარე კონკრეტულ თანხას ასახელებს, მაგრამ დასაბუთება უჭირს. რაც შეეხება დაცვის მხარეს, ის მეორე უკიდურესობაში გადადის – სპობს ყოველგვარ მტკიცებულებას ბრალდებულის ფინანსურ-მატერიალურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასეთ პირობებში ოქროს შუალედის პოვნა მიჭირს.”*

საია მიიჩნევს, რომ მოსამართლეებისა და პროკურორების არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ, ერთი მხრივ, პროკურორს არ აქვს საშუალება, სრულყოფილად გამოიკვლიოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ, მოსამართლე არასრული ინფორმაციის საფუძველზე თავად უფარდებს ბრალდებულს გირაოს თანხის ოდენობას, არამართებულია. აღნიშნულმა, შესაძლოა, გამოიწვიოს ბრალდებულის ინტერესების დარღვევა, კერძოდ, არამართლზომიერი და არაპროპორციული აღკვეთის დონისძიების გამოყენება. საია წლების განმავლობაში იკვლევს სასამართლოს მხრიდან გირაოს შეფარდების დასაბუთების საკითხს. ორგანიზაციის მიერ მომზადებულ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშებში იკვეთება, რომ სასამართლოს მხრიდან გირაოს გამოყენება ხშირად დაუსაბუთებელია.

საია მიიჩნევს, რომ გირაო დაუსაბუთებელია, როდესაც, მაგალითად, მოსამართლეები გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას იღებენ პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე, რაც უნდა ეფუძნებოდეს წარდგენილ ბრალს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ფინანსურ შესაძლებლობებსა და საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. მოსამართლეთა მხრიდან ამ გარემოებების გამოურკვევლობა კიდევ უფრო საზიანოა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშებში საიას მიერ იდენტიფიცირებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები გირაოს თაობაზე.



გამოკითხული სამი მოსამართლე ამ პრობლემიდან გამოსავალს ხედავს აშშ-ს პრობაციის სამსახურის მსგავსი მოდელის შექმნაში. აშშ-ს პრობაციის სამსახური სასამართლოსთან თანამშრომლობს და დეტალურ ინფორმაციას აწოდებს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე.

**მოსამართლე:** „ჩემთვის მისაღებია ამერიკული მოდელი, პრობაციის სამსახურის მსგავსი. ეს სამსახური აბსოლუტურად ნეიტრალურია, არცერთ მხარეს არ არის, მხოლოდ ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობას სწავლობს და დოკუმენტებს წარმოადგენს. თუ ოდესმე ამას მივაღწევთ, მოსამართლისთვის ეს უდიდესი კომფორტი იქნება. როდესაც დოკუმენტები იარსებებს, სასამართლოს მხრიდან დასაბუთებაც უფრო მეტად გამარტივდება.“

მოსამართლეთა ერთი ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ინსტიტუცია (წინასასამართლო ინსტიტუტი) არის ცალკე სამსახური ან პრობაციის სააგენტოს მომსახურების ნაწილი, რომლის თანამშრომლები სასამართლოს წარმომადგენლებად მიიჩნევიან და მოსამართლისთვის მუშაობენ. როგორც პრობაცია, ისე ცალკე სამსახური სასამართლო სისტემაში შედის. ინგლისში ამ ტიპის სამსახური პროკურატურისა და დაცვის მხარისგან დამოუკიდებელ ორგანოს

წარმოადგენს და მისი ძირითადი მიზანი ინფორმაციის მოძიება, რისკების შეფასება და ზედამხედველობის დაწესებაა.

საიას შეფასებით, ამგვარი ინსტიტუციის არსებობას თავისი დადებითი მხარეები აქვს და სამომავლოდ შესაძლებელია საქართველოში მისი შექმნა, თუმცა, ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასევე, პრობლემური იქნება აღნიშნულ საკითხზე დაცვისა და ბრალდების მხარეების ნდობის მოპოვება. გარდა ამისა, ამ ორგანოს მხრიდან მოსამართლისთვის რეკომენდაციების მიცემამ და რისკების შეფასებამ, შესაძლოა, მოსამართლეს სხდომამდე შეუქმნას წინასწარი შთაბეჭდილება ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ და ამან შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა გამოიწვიოს.

### გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით და გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფის გარეშე. პირველი მათგანი გულისხმობს, რომ ბრალდებული პენიტენციარულ დაწესებულებაში რჩება იქამდე, სანამ გირაოს თანხას (ან თანხის 50%-ს) არ გადაიხდის. გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ ბრალდებულს, რომელიც სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე გამოცხადდა დაკავებულის სახით.

იურისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის ჩანაწერი – სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის სამართლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით მის მიერ გირაოს თანხის სრულად ან ნაწილობრივ (მინიმუმ 50%-ის) გადახდამდე.

სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილს მოსამართლეთა უმრავლესობა განმარტავს იმგვარად, რომ დაკავებული პირის მიმართ გირაოს შეფარდების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული პატიმრობის უზრუნველყოფის ღონისძიებაც. ამგვარად ნორმის განმარტებამ შესაძლოა გამოიწვიოს პირის მიმართ შეუსაბამოდ მძიმე აღკვეთის ღონისძიების დაკისრება – თუკი ბრალდებულის

ახლობლებმა ვერ მოახერხეს თანხის გადახდა, პირი რჩება პატიმრობაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წელს სულ გამოყენებული იყო 5804 გირაო, აქედან 1951 (34%) შემთხვევაში – გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. 2018 წელს გამოყენებული იყო 5460 გირაო, აქედან 2175 (40%) – გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.<sup>50</sup> მონაცემები აჩვენებს, რომ იზრდება პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი, რაც, შესაბამისად, წარმოშობს იმ ბრალდებულთა რაოდენობის გაზრდის რისკს, რომლებიც ვერ მოახერხებენ გირაოს თანხის გადახდას და დარჩებიან პატიმრობაში.

კვლევის მიზნებისთვის ჩატარებული გამოკითხვის დროს გამოიკვეთა, რომ პროკურორთა უმრავლესობის ხედვით, დაკავებული ბრალდებულის მიმართ პატიმრობის უზრუნველყოფის გარეშე გირაოს გამოყენების შესაძლებლობას ღლეწანდელი საკანონმდებლო ჩანაწერი არ იძლევა.<sup>51</sup> თუმცა, რამდენიმე პროკურორი ფიქრობს, რომ მოცემული რეგულაციის პირობებშიც მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება, გამოიყენოს არასაპატიმრო გირაო დაკავებული პირის მიმართ. პროკურორთა მცირე ნაწილი (4 პროკურორი) მომხრეა, შეიცვალოს კანონის ჩანაწერი და მოსამართლეს მიეცეს არასაპატიმრო გირაოს გამოყენების შესაძლებლობა. თავად მოსამართლეთა ხედვა ამ საკითხზე განსხვავებულია. ქვემოთ იხილეთ მათი მოსაზრებები:

**მოსამართლე:** „დაკავებული პირის გათავისუფლებას აქვს თავისი კანონისმიერი საფუძვლები. როდესაც ვხედავთ, რომ ეს საფუძვლები დარღვეულია, დაუყოვნებლივ ვათავისუფლებთ, მაგრამ როცა კანონიერი ბერკეტი არ გვაქვს, გირაოს უზრუნველყოფამდე ბრალდებული პატიმრობაში უნდა დარჩეს. კანონმდებელს ამით სურდა, არსებულიყო გარკვეული მექანიზმი იმისთვის, რომ სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს თანხა შევიდეს. მე ამაში განსაკუთრებულ პრობლემას ვერ ვხედავ.“

**მოსამართლე:** „ჩანაწერი ბუნდოვანია, არ არის მკაფიოდ ფორმულირებული და განჭვრეტადი. ეს კატეგორიულად იმპერატიულ და თქმად არ მიმაჩნია. საკუთარ ინიციატივაზე როდესაც არის საუბარი,

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს პასუხი N3-740-19 (16.04.2019).

<sup>51</sup> კვლევაში მონაწილე 15 პროკურორიდან 11 გამოთქვამს ამ მოსაზრებას.

ეს მე მესმის, როგორც ჩემი (მოსამართლის) დისკრეცია, ჩემი უფლებამოსილება: ან გამოვიყენო, ან – არა. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ დისკრეციად განვიხილავთ და არა – იმპერატიულ დათქმად.“

**მოსამართლე:** „მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის ჩანაწერი არაკონსტიტუციურია. ჩანაწერი – „პატიმრობა გამოიყენება“ – კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. უნდა იყოს შემდეგნაირად: გირაოს გადახდამდე პროკურორმა ჯერ უნდა დაასაბუთოს პატიმრობის საჭიროება. თუ ამას ვერ ასაბუთებს, პირდაპირ გირათი უნდა შემოვიდეს. იყო შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება, პატიმარი გაათავისუფლა, გირაო გამოიყენა დაკავების უკანონოდ ცნობის გარეშე. შესაბამისად, ასეთ პირობებში, რეალურად, იყენებ ალკვეთის ორ ღონისძიებას. ამას არ ასაბუთებ და ვერც დაასაბუთებ.“

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი ადვოკატი მიუთითებს, რომ მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა, პრაქტიკაში ჰქონდა შემთხვევა, როდესაც დაკავებული პირის მიმართ მოსამართლემ გამოიყენა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფის გარეშე ისე, რომ დაკავება არ ყოფილა ცნობილი უკანონოდ. სააპელაციო სასამართლომ ეს საკითხი ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიმოიხილა, სადაც მოსამართლე შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს:

„მე-200 მუხლი არ კრძალავს პირის დაკავებიდან გათავისუფლებას და გირაოს გამოყენებას პირველი წარდგენისა და ალკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სხდომის განჩინებით. ანუ, მოსამართლე უფლებამოსილია, დაკავებულ პირს მუუფარლოს გირაო, გაათავისუფლოს იგი და განუსაზღვროს გირაოს გადახდის გარკვეული ვადა, თუ არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დაადასტურებს, რომ დაკავებიდან გათავისუფლების შემთხვევაში პირი არ გადაიხდის გირაოს, ან ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომელიც გირაოს გადახდამდე დაპატიმრების აუცილებლობას დაასაბუთებს. მიმაჩნია, რომ მე-200 მუხლის ჩანაწერი – „სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით“ - უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მოსამართლე მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენოს პატიმრობა, თუ პირი დაკავებულია.

არასწორია ამ ნორმის ისე განმარტება, რომ ყველა შემთხვევაში, თუ პირი დაკავებულია, მოსამართლე იმპერატიულად ვალდებულია, შეუფარდოს პატიმრობა მას გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ პირის დაკავებაში ყოფნა წარმოშობს უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას პირის მიმართ დაპატიმრების გამოყენებისა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით.<sup>52</sup>

საია იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ამ მსჯელობას. ორგანიზაციის შეფასებით, დაკავებული პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემთხვევაში, აუცილებელი არ არის, გირაო გამოყენებული იყოს პატიმრობის უზრუნველყოფით. გაურკვეველია არგუმენტაცია, თუ რატომ უნდა გათავისუფლდეს დაკავებული პირი დაუყოვნებლივ სხდომის დარბაზიდან (მიუხედავად იმისა, დაკავება უკანონოდ არის თუ არა ცნობილი) პირადი თავდებობის, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებისა ან სხვა აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას და არა – გირაოს გამოყენების პირობებში. იმაზე აპელირება, რომ ე.წ. საპატიმრო გირაო თანხის გადახდის უზრუნველმყოფია, არ შეიძლება შეფასდეს შესაფერის არგუმენტად. თუ ბრალდებული განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხდის გირაოს თანხას, არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბერკეტი და პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

საიას მოსაზრებით, მოცემული ნორმა უნდა ჩასწორდეს იმგვარად, რომ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აღარ იძლეოდეს, გახდეს განჭვრეტადი, მკაფიო და განისაზღვროს, რომ მოსამართლე უფლებამოსილია, დაკავებული პირის მიმართ გამოიყენოს როგორც გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, ისე გირაო პატიმრობის უზრუნველყოფის გარეშე. მოცემული ჩანაწერის დარეგულირების მომხრეა კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-გუფის შეხვედრისა და გამოკითხვაში მონაწილე ადვოკატთა აბსოლუტური უმრავლესობა.<sup>53</sup>

<sup>52</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლო, განჩინება, საქმე N1გ/577-17 (2017-04-25).

<sup>53</sup> ფოკუს-გუფის ფორმატით შეხვედრა ჩატარდა ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტთან და დამატებით გამოიკითხა 5 ადვოკატი.

გირაოს თანხის გადაუხდელობის თანმდევი შედეგები (შეფარული პატიმრობის რისკები)

სსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ ბრალდებულმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული თანხის შეტანა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, ან არ განახორციელა გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფა, პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

სასამართლო განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოეკიდოს გირაოს თანხის გადახდის ვადის განსაზღვრას, ვინაიდან, გირაოს ოდენობასთან ერთად, ბრალდებულისთვის მიცემული ვადა შეიძლება გახდეს დამაბრკოლებელი ფაქტორი თანხის დროულად გადასახდელად, რასაც შესაძლოა არასასურველი შედეგი მოჰყვეს. გირაოს თანხის გადაუხდელობის გამო, დაკავებული ბრალდებული ავტომატურად რჩება პატიმრობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პირს მხოლოდ გირაო აქვს შეფარდებული, პროკურორი სასამართლოს მიმართავს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. მხოლოდ გირაოს გადახდისთვის (ან გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფისთვის) დაწესებული ვადის დარღვევა არ შეიძლება გახდეს აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლის ერთადერთი და იმპერატიული საფუძველი. გამოკვლეული უნდა იყოს, ადგილი აქვს გირაოს თანხის შეგნებულად გადაუხდელობას, თუ საქმე გვაქვს გირაოს თანხის ვერგადახდასთან. არასწორია სსკ-ის მე-200 მუხლის ამ ნაწილის განმარტება ისე, რომ დადგენილ ვადაში გირაოს თანხის გადაუხდელობა იმპერატიულად ავალდებულებს პროკურორს, მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების დამძიმება და, შესაბამისად, სასამართლოსაც ავალდებულებს, გამოიყენოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. გირაოს თანხის გადაუხდელობის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ სასამართლოში შუამდგომლობის შეტანამდე, პროკურორი (ხოლო შუამდგომლობის განხილვისას - სასამართლო) ვალდებულია, გამოარკვიოს, პირმა თანხა არ გადაიხადა შეგნებულად, წინასწარ განზრახულად, თუ ადგილი აქვს ობიექტურ მიზეზთა გამო გადახდის შეუძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში გირაოს გა-



მოყენება შეიძენს ფორმალურ ხასიათს და სახეზე გვექნება გირაოს ფორმალური გამოყენებით ე.წ. „შეფარული პატიმრობის“ მიზნის მიღწევა.<sup>54</sup>

იმის დასადგენად, თუ რამდენად ხშირია გირაოს თანხის გადაუხდელობის გამო ბრალდებულთა მდგომარეობის გაუარესება (პატიმრობის შეფარდება ან პატიმრობაში დარჩენა), მსხვილი ქალაქების<sup>55</sup> სასამართლოებიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია, 2017-2018 წლებში:

- რამდენ პირს შეეცვალა ალკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაო პატიმრობით, იმ საფუძვლით, რომ პირმა ვერ შეძლო გირაოს თანხის გადახდა;
- ე.წ. საპატიმრო გირაოს შემთხვევაში რამდენი პირი დარჩა პატიმრობაში იმის გამო, რომ ვერ გადაიხადა გირაოს თანხა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2017 წელს ალკვეთის ღონისძიება გირაო პატიმრობით შეუცვალა 1 პირს; 2018 წელს გირაოს პატიმრობით შეცვლის მოთხოვნით შევიდა 3 შუამდგომლობა (არცერთი არ დაემყოფილდა). სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ 2017-2018 წლებში გირაო შეუფარდა 91 პირს, ხოლო ალკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაო პატიმრობით არცერთი პირის მიმართ არ შეცვლილა. გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეუფარდა 42 პირს და მათგან 16 პირი დარჩა პატიმრობაში.<sup>56</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოებისგან ვერ მივიღეთ სრული სტატისტიკური მონაცემები, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ პრაქტიკაში, არცთუ იშვიათად, როდესაც ალკვეთის

<sup>54</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08/01/2015 წლის განჩინება, საქმე N1გ/19.

<sup>55</sup> ქუთაისის, ბათუმის, თბილისის საქალაქო სასამართლოები და გორის, ახალციხის, თელავის, ზუგდიდისა და სამტრედიის რაიონული სასამართლოები.

<sup>56</sup> ქუთაისის, ბათუმის, თბილისის საქალაქო და გორის, ახალციხის რაიონულმა სასამართლოებმა არ მოგვაწოდეს მოცემული ინფორმაცია იმ არგუმენტზე მითითებით, რომ არ აწარმოებენ ამგვარი მონაცემების სტატისტიკას. რაც შეეხება თელავის რაიონული სასამართლოსგან მიღებულ ინფორმაციას – 2017-2018 წლებში შუამდგომლობა გირაოს პატიმრობით შეცვლის შესახებ განიხილა ერთი პირის მიმართ (თუმცა, ვერ იდენტიფიცირდება, თანხის გადაუხდელობის მიზეზით მოხდა შუამდგომლობის დაყენება თუ სხვა მიზეზით). თელავის სასამართლომ ასევე ვერ მოგვაწოდა ინფორმაცია, ე.წ. საპატიმრო გირაოს შემთხვევაში რამდენი პირი დარჩა პატიმრობაში იმის გამო, რომ ვერ გადაიხადა გირაოს თანხა.

ღონისძიების სახედ გამოყენებულია ე.წ. საპატიმრო გირაო, ბრალდებულები პატიმრობაში რჩებიან თანხის გადაუხდელობის გამო.

### **პირადი თავდებობის შეფარდების დამაბრკოლებელი გარემოებები**

პირადი თავდებობის, როგორც არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების სახეს არეგულირებს სსსკ-ის 203-ე მუხლი. პირადი თავდებობის დროს სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას, გამოძიების პროცესში. ამავე მუხლის მიხედვით, პირად თავდებოთა ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. პირადი თავდები გაფრთხილებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ. იმავდროულად, თავდებს, შესაძლოა, პასუხისმგებლობა დაეკისროს (100-500 ლარამდე ოდენობით) იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას.<sup>57</sup>

პირადი თავდები შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ბრალდებულის მეგობარი, ოჯახის წევრი, ნათესავი, კოლეგა, ასევე, საყოველთაოდ ცნობილი ადამიანი, საზოგადოებრივი მოღვაწე, საზოგადოებაში ავტორიტეტის მქონე პირი და სხვა.<sup>58</sup> პირადი თავდებობის გამოყენებას აუცილებლად სჭირდება თავდების თანხმობა, ასევე, ბრალდებულის თანხმობა და შუამდგომლობის დაკმაყოფილება სასამართლოს მიერ. უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით, ამ ღონისძიების გამოყენების მაჩვენებელი, ფაქტობრივად, ნულს უტოლდება. კერძოდ, 2017 წელს პირადი თავდებობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, გამოყენებული იყო 9459 საქმიდან მხოლოდ 34 (0.3%) შემთხვევაში, ხოლო 2018 წელს აღნიშნული მონაცემი კიდევ უფრო შემცირდა და 9935 საქმიდან მხოლოდ 19 (0.2%) პირის მიმართ იყო გამოყენებული.<sup>59</sup>

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2018 წლის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლო ძალიან იშვიათად

<sup>57</sup> სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

<sup>58</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, გვ.585. თბილისი, 2015.

<sup>59</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს პასუხი N 3-740-19 (16.04.2019).

მიმართავს პირად თავდებობას, როგორც აღკვეთის ღონისძიების ალტერნატიულ სახეს, ხოლო სხვა სასამართლოები ამგვარ ღონისძიებას საერთოდ არ იყენებენ. 2018 წლის დასწრებული პროცესების შესაბამისად: გორის, თელავის, ქუთაისისა და ბათუმის სასამართლოებს საერთოდ არ გამოუყენებიათ ამ სახის ღონისძიება, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოში დასწრებული 186 აღკვეთის ღონისძიების სხდომიდან პირადი თავდებობა მოსამართლემ მხოლოდ 4 შემთხვევაში გამოიყენა.<sup>60</sup>

პროკურორები მიიჩნევენ, რომ პირადი თავდებობის გამოყენების დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი ნაკლებეფექტური ღონისძიებაა. ამასთან, დაცვის მხარე იშვიათად შუამდგომლობს პირადი თავდებობის თაობაზე, ან, თუ შუამდგომლობს – არაორგანიზებულად. ასევე, პრობლემას წარმოადგენს სანდოობის ფაქტორი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რეალურად უზრუნველყოფს თავდები პირი ბრალდებულის სათანადო ქცევას. კიდევ ერთ მიზეზად ბრალდების მხარე ამ აღკვეთის ღონისძიების აღსრულების ხარვეზებს ასახელებს.

**პროკურორი:** „პირადი თავდებობის გამოყენების მოთხოვნის სიმცირეს განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი ხასიათდება გარკვეული სპეციფიკურობით. კერძოდ, პროკურორს უნდა ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია ბრალდებულის სოციალური წრის, მისი ნაცნობებისა და მეგობრების, ასევე, პოტენციური თავდების შესახებ – არის თუ არა იგი სანდო პირი, თავად ხომ არ არის შემჩნეული დანაშაულებრივ ქმედებებში და ა.შ. აღნიშნული გარემოებების დადგენა გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. შეზღუდული საპროცესო ვადების და პროკურორთა და გამომძიებელთა გადატვირთულობის გამო კი, ყოველთვის არ არის შესაბამისი რესურსი ზემოხსენებული გარემოებების გამოსარკვევად. გარდა ამისა, პირადი თავდებობის მოთხოვნის შემთხვევაში საჭიროა სხვა დამატებითი პროცედურები (თავდებისთვის ბრალის გაცნობა, ხელწერილის ჩამორთმევა და სხვა), რაც ასევე დამატებით დროს მოითხოვს. ამასთან, პირადი თავდებობა, ქვეყანაში არსებული სოციალური რეალობის გათვალისწინებით, პროკურორთა მხრიდან სამართლიანად მიიჩნევა აღკვეთის ღონის-

<sup>60</sup> იხ. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის რაიონულ სასამართლოებში; მონიტორინგის პერიოდი: თებერვალი 2017 - თებერვალი 2018, ანგარიში N12, გვ.19.

ძიების ნაკლებფექტურ სახედ. მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას ისიც კი არ აქვს გათვითცნობიერებული, რომ, თუ მოწმეები არიან, ვალდებულია აქვთ, გამოცხადდნენ სასამართლოში და მისცენ ჩვენება. თითოეული მოწმის სასამართლოში წარდგენა პროკურორის მხრიდან დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. ასეთ სიტუაციაში არაგონივრულია იმის ვარაუდი, რომ ამ კატეგორიის პირები უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას (ან შეეცდებიან მანც), თუ მას თავად არ ექნება ამის სურვილი. თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით, პირადი თავდებობა წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების იმგვარ სახეს, რომელიც უფრო პრაქტიკულია დაცვის მხარისთვის. პრაქტიკაში, პროკურორის ინიციატივის შემთხვევაშიც კი, დაცვის მხარის უშუალო ჩართულობის გარეშე (რაც უნდა გამოიხატებოდეს პოტენციურ თავდებებთან კომუნიკაციაში), შეიძლება ითქვას, შეუძლებელია მისი გამოყენება.“

**მოსამართლე:** „ძირითადი პრობლემა არის დაცვის მხარის პასუხობა თავდები პირის წარმოდგენასთან დაკავშირებით. მქონდა შემთხვევა, როდესაც თავდებს ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 3-ჯერ ჰყავდა ბრალდებული ნანახი. ასეთმა პირმა როგორ უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის სათანადო ქცევა?! თავდებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა, არადა, ხშირად ის ვერ მისაბუთებს, როგორ უნდა განახორციელოს კონტროლი.“

**მოსამართლე:** „პირადი თავდებობის გამოყენება სასამართლოს ყველაზე მეტად უჭირს. დაცვის მხარე არ არის მზად, არ ჰყავს წარმოდგენილი თავდები პირები. სასამართლო თავდებად ვერ დანიშნავს ბუნებაში არარსებულ პირს. ამასთან, მოსამართლე პროცესზე უნდა გაესაუბროს თავდებ პირს და გამოარკვიოს, რამდენად იაზრებს ის პირობების დარღვევის შედეგებს (დაჯარიმებას). ამისთვის ხშირად დაგვა მზად არ არის და სასამართლო უფრო მეტად გირაოსკენ იხრება.“

გამოკითხული ადვოკატების პოზიციით, პირადი თავდებობის იშვიათად გამოყენება გამომდინარეობს შემდეგი გარემოებებიდან: ამგვარი ღონისძიების შეფარდების პრაქტიკის არარსებობა; პირადი თავდებობის, როგორც ინსტიტუტის გაუაზრებლობა; მოსამართლის შიში ამ ტიპის ღონისძიების გამოყენებისას. გარდა ამისა, მოსამართლეს არასაკმარისად მიაჩნია თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები. ფოკუსჯგუფის ფორმატით შეხვედრისას ერთ-ერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ პირადი თავდებობის შესახებ შუამდგომლობის დაყენება აზრს მოკლებულია, ვინაიდან სასამართლო

მას თითქმის არასდროს აკმაყოფილებს – „პირადი თავდებობის თაობაზე შუამდგომლობას იმიტომ არ აყენებს დაცვის მხარე, რომ აზრი არ აქვს, 1000 კაციც რომ მოვიყვანოთ, სასამართლო მაინც არ აკმაყოფილებს, ამიტომ ვირჩევთ უფრო ქმედით ღონისძიებას გირაოს სახით.“

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ღონისძიების არაეფექტურობას და პრაქტიკაში იშვიათად გამოყენებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ არცერთი მხარე და თავად სასამართლოც ამ სახის აღკვეთის ღონისძიებას არ განიხილავს რეალურ ალტერნატივად. ასევე, დღეს არსებული ნორმის განმარტებით, სასამართლოს პირადი თავდებობის გამოყენებისთვის სჭირდება მხარის შუამდგომლობა. ამასთან, პირადი თავდები უნდა იყოს სასამართლოს ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც გააკონტროლებს ბრალდებულის ქცევას და იქნება გარანტი, რომ ბრალდებული არ მიიმალება, არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და არ მოახდენს მოწმეზე ზემოქმედებას. შესაბამისად, სასამართლოები, როგორც წესი, არ იყენებენ აღკვეთის ღონისძიების სახედ პირად თავდებობას, ვინაიდან არ მიიჩნევენ პატიმრობის და გირაოს რეალურ და საპირწონე ალტერნატივად.

### **აღკვეთის ღონისძიების სახედ გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების შეზღუდულად გამოყენება**

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ წარმოადგენს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებას. ამ ტიპის აღკვეთის ღონისძიებას იცნობდა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის კანონმდებლობაც – გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ხელწერილის სახელით, რომლის გამოყენების პირობებში ბრალდებული კისრულობდა ვალდებულებას, არ გასულიყო დასახლებული პუნქტიდან გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ნებართვის გარეშე, ასევე, შეეტყობინებინა მათთვის საცხოვრებლის შეცვლის შესახებ.<sup>61</sup> აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება დღესაც შენარჩუნებულია, თუმცა, დღესდღეობით ის გამოიყენება მხოლოდ დანაშაულებზე, რომლებიც სასჯელის სახედ ითვალისწინებს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ადრე ასეთი შეზღუდვა არ არსებობდა.

<sup>61</sup> სსკ-ის 169-ე მუხლი (2005 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წელს აღკვეთის ღონისძიების სახე – შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ გამოყენებული იყო 9459 საქმიდან 372 (4%) შემთხვევაში, ხოლო 2018 წლის მონაცემებით, ამ ღონისძიების მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა და 9935 საქმიდან მხოლოდ 148 (1%) შემთხვევაში გამოიყენეს.<sup>62</sup>

საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N13 ანგარიშის მონაცემების მიხედვით, გორისა და ბათუმის სასამართლოებმა მხოლოდ თითო შემთხვევაში გამოიყენეს შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. თელავის სასამართლომ სამ, ხოლო ქუთაისის სასამართლომ ორ შემთხვევაში გამოიყენა აღკვეთის იგივე ღონისძიებები. თბილისის საქალაქო სასამართლოს კი არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.<sup>63</sup>

კვლევის მიზნებისთვის გამოვითხოვეთ განჩინებები სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებზე: 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 238 (პრიმა) მუხლის 1-ლი ნაწილი, 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 273-ე მუხლი და 273-ე პრიმა მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილები. ეს ის მუხლებია, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე ვადით და, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს აღკვეთის ღონისძიების სახე – შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. მიღებული განჩინებების ანალიზი ცხადყოფს, რომ დაცვის მხარე ერთმნიშვნელოვნად პასიურობს და, როგორც წესი, არ ითხოვს გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ან სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. თავის მხრივ, არც სასამართლოს გამოუჩენია ამ მხრივ სათანადო მონდომება, ხოლო პროკურატურის მხრიდან არცერთ შემთხვევაში ამგვარი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა არ დაფიქსირებულა.

შესწავლილი 37 განჩინებიდან მხოლოდ 4 (11%) შემთხვევაში იშუ-

<sup>62</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს პასუხი N3-740-19 (16.04.2019).

<sup>63</sup> იხ. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის რაიონულ სასამართლოებში; მონიტორინგის პერიოდი: თებერვალი 2018 - თებერვალი 2019 წ. ანგარიში N13, გვ.23.

ამდგომლა დაცვის მხარემ მოცემული ღონისძიების შერჩევის თაობაზე. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მუხლის სანქცია იძლეოდა შესაძლებლობას, ბრალდებულისთვის სასამართლოს შეეფარდებინა აღკვეთის ღონისძიების სახე – შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, სასამართლომ იგი მხოლოდ 3 (8%) შემთხვევაში გამოიყენა.

ამასთან, საია მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებებიდან, ბრალდებულის პიროვნებიდან, წარდგენილი ბრალდებიდან გამომდინარე, დამატებით კიდევ 8 (22%) შემთხვევაში შესაძლებელი იყო მოცემული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ასეთ საქმეებზე სასამართლო იყენებდა მინიმალურ ან მინიმალურ ოდენობასთან მიახლოებულ გირაოს (1000 ან 1500 ლარი), მაგრამ არა – შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

კვლევის მიზნებისთვის ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ პრაქტიკულად ყველა მოსამართლის აზრით, შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ უნდა მოეხსნას განსაზღვრული სანქცია და გავრცელდეს არა მარტო იმ დანაშაულებზე, რომლებზეც სასჯელის ზომად გათვალისწინებულია 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, არამედ სხვა, თუნდაც ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებზე. ერთ-ერთი მოსამართლის მოსაზრებით – *„კარგი იქნება, თუ ეს ღონისძიება საერთოდ არ იქნება მიბმული არანაირ სასჯელსა ან დანაშაულის კატეგორიაზე და დარეგულირდება სასამართლო პრაქტიკით.“*

**მოსამართლის განმარტებით,** შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ყველაზე მსუბუქი ხასიათის აღკვეთის ღონისძიებაა და თითქმის ფორმალურ ხასიათს ატარებს. **კიდევ ერთი მოსამართლე** მომხრეა, რომ აღნიშნული ღონისძიება გამოყენებული იყოს ნაკლებად მძიმე და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებზე. გამოკითხული **პროკურორების** გარკვეული ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ ამ ტიპის ღონისძიების გამოყენება კარგი იქნება სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულებზეც, თუმცა, მათი უმრავლესობის აზრით, იგი უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომლებზეც გათვალისწინებულია სასჯელის სახით 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. გამოკითხული **ადვოკატების** აბსოლუტური უმრავლესობა კი აღნიშნავს, რომ გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებას უნდა მოეხსნას ზემოაღნიშნული შეზღუდვა და უნდა გავრცელდეს ნაკლებად მძიმე და გაუფრთხილებ-

ლობით ჩადენილ დანაშაულებზეც. გარდა ამისა, ერთ-ერთი ადვოკატის განმარტებით, ამ ტიპის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს არაძალადობრივ და, ასევე, იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც ნაკლებად მძიმე კატეგორიას განეკუთვნება.

განჩინებების ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ სასამართლო და მხარეები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლევა, მაინც არ შუამდგომლობენ/იყენებენ შეთანხმებას გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ. ინტერვიუებმა კი, თავის მხრივ, აჩვენა, რომ პრაქტიკოსი იურისტების უმრავლესობა ემხრობა იდეას, აღნიშნული ალკვეთის ღონისძიება არ იყოს დამოკიდებული კონკრეტული დანაშაულისთვის გათვალისწინებულ სასჯელის ზომაზე.

### **საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ე.წ. დამატებითი ალკვეთის ღონისძიებების მნიშვნელობა და პრაქტიკული გამოყენება**

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ალკვეთის ღონისძიებებს ორ ნაწილად ყოფს: ძირითად და დამატებით ალკვეთის ღონისძიებებად. სსსკ-ის 199-ე მუხლის მიხედვით, ძირითადი ალკვეთის ღონისძიებებია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პატიმრობა, პირადი თავდებობა და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი მეთვალყურეობა. სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილი კი, ჩამოთვლის ალკვეთის დამატებით ვალდებულებათა სახეებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ალკვეთის ღონისძიების ძირითად სახესთან ერთად. ეს დამატებითი სახეებია: პირის ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობისა თუ პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციასა ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; გარკვეულ ადგილზე ყოფნის ვალდებულება გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა სპეციალური ნებართვის



გარეშე; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, თუ პირის მიმართ დევნა დაწყებულია ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით.<sup>64</sup>

იმავდროულად, აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მოსამართლეს შეუძლია, გამოიყენოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ღონისძიება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული დამატებითი ღონისძიებების ნუსხაში. მოსამართლეს უფლება აქვს, დამატებითი ღონისძიებები გამოიყენოს მხოლოდ ადვკეთის ძირითად ღონისძიებასთან ერთად და არა – მისგან დამოუკიდებლად. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ ღონისძიებებს აქვს დამატებითი ფუნქცია და მათი მიზანია, ადვკეთის ძირითად ღონისძიებებთან ერთად, საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანა.

**პროკურორები** აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა ინტენსივობით შუამდგომლობენ დამატებითი ვალდებულებების გამოყენებას. მათ გადატანას ადვკეთის ძირითად ღონისძიებათა ნუსხაში დადებითად აფასებს გამოკითხულ პროკურორთა მცირე ნაწილი (5 პროკურორი). **მოსამართლეები** განმარტავენ, რომ დამატებით ვალდებულებებს ხშირად იყენებენ, კერძოდ, ოჯახში ძალადობის საქმეებზე აქტუალურია დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, ასევე, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით – ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გამოცხადება და ექსპერტიზის ჩატარება სხვადასხვა პერიოდულობით.

**მოსამართლე:** „მოგესხნებათ, საკმაოდ გახშირებულია ოჯახში ძალადობის შემთხვევები. ასეთ დანაშაულებზე ხშირად ვიყენებ არასაკმარის ადვკეთის ღონისძიებას და არ ვაკმაყოფილებ ბრალდების მხარის შუამდგომლობას. რეალურად, არსებობს მოწმეებზე ზემოქმედების, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რისკები, მითუმეტეს, თუ ძალადობრივ ქმედებებს ინტენსიური ხასიათი ჰქონდა და არ იყო ერთჯერადი ხასიათის სიტყვიერი, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური შურაცხყოფა. ასეთ შემთხვევაში უკრძალავ საცხოვრებელ ადგილზე მისვლას, მსხვერპლთან მიახლოებას, მის წინააღმდეგ ინფორმაციის მატარებელ პირებთან (მოწმებთან) ურთიერთობას. ამასთან,

<sup>64</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

ვუწესებ პოლიციის ორგანოში პერიოდულობით გამოცხადების ვალდებულებას. ეს მოქმედებს. რაც შეეხება ნარკოდანაშაულებს, თუ შევხედუ ბრალდებულს და მთლად ისე არ არის დამოკიდებული და რაღაც შანსი აქვს, რომ გამოსწორდეს, ვაკლებ კვირაში ერთხელ ნარკოლოგიური შემოწმების გავლას, ასევე – კვირაში ერთხელ ან ორჯერ პოლიციის ორგანოში გამოცხადებას ანგარიშგების მიზნით. ეს ფსიქოლოგიური დატვირთვის მატარებელიც არის. მან იცის, რომ ორშაბათს უნდა მივიდეს პოლიციაში და გამომძიებელი ჰკითხავს – აბა, რა ხდება?...“

**მოსამართლე:** „...ამ დონისძიებებს ხშირად ვიყენებ არასრულწლოვანთა საქმეებზე, მაგალითად, ღამის საათებში საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვა; ოჯახში ძალადობის საქმეებზე – მიანხლოების და კომუნიკაციის აკრძალვა; ნარკოდანაშაულებზე – გარკვეული პერიოდულობით ნარკოლოგიური გამოკვლევების ჩატარების ვალდებულება. ასევე, ოჯახში ძალადობის საქმეებზე, თუ პირი ალკოჰოლზე დამოკიდებულია, ორ შემთხვევაში დავაკალე მედიკამენტური და ფსიქოლოგიური სამკურნალო კურსების გავლა...“

### **ინტერვიუში მონაწილე პირების მოსაზრებები აღკვეთის ღონისძიებათა სახეების გაფართოებასთან დაკავშირებით**

გამოკითხული 15 პროკურორიდან 5 ემხრობა იდეას, გაიზარდოს აღკვეთის ღონისძიებათა ძირითადი სახეები. რეფორმის მომხრეთა აზრით, აღკვეთის ღონისძიებების სიას უნდა დაემატოს: შინაპატიმრობის ანალოგი ღონისძიება; ელექტრონული მონიტორინგი; კონკრეტული ადგილების მონახულებისა და გარკვეულ დროს საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვა.

**პროკურორი:** „ჩემი აზრით, არსებული აღკვეთის ღონისძიების ძირითად სახეებს უნდა დაემატოს სამართალდამცავ ორგანოში გარკვეული პერიოდულობით (სასურველია, დროის მოკლე ინტერვალით, მაგალითად, ორ დღეში ერთხელ ან ყოველდღე) გამოცხადება, რადგან აღნიშნული ღონისძიება იმდენად შემზღვევლია, რომ უთანაბრდება აღკვეთის ღონისძიების ძირითადი სახის ბუნებას და აღემატება, მაგალითად, ისეთი აღკვეთის ღონისძიების სიმკაცრეს და ბრალდებულის ქვევის კონტროლის მექანიზმს, როგორც არის შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქვევის შესახებ...“

გამოკითხული მოსამართლეების ნაწილი, კერძოდ, 13-დან 5 მოსამართლე მიიჩნევს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახეები უნდა გაიზარდოს, ხოლო 6 მოსამართლის აზრით, თუ შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ მოეხსნება 1 წლამდე ბარიერი, მაშინ ამ ცვლილებით საკითხი დარეგულირდება. აღნიშნული შეამცირებს გირაოსა და პატიმრობის მაღალ მაჩვენებელს და კანონმდებლობაში აღკვეთის ღონისძიების სახეების დამატება საჭირო აღარ გახდება. აღკვეთის ღონისძიების სახეების გაზრდის მომხრე მოსამართლეები, ძირითადად, ასახელებენ ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა ელექტრონული მონიტორინგი, შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა.

**მოსამართლე:** „პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა აუცილებლად უნდა გახდეს ძირითადი აღკვეთის ღონისძიების სახე, ასევე, კარგი იქნება პასპორტის მოქმედების შეჩერება. ელექტრონული მონიტორინგი ცოტა ძვირია, თუმცა, ყველაზე ეფექტური მექანიზმია. რაც უფრო დიდია არჩევანი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს, რომ ყველა კონკრეტულ საქმეზე სათანადო და ადეკვატური ღონისძიება შეირჩეს.“

1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის მიხედვით, **პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა** გულისხმობდა, რომ ბრალდებულს ეკრძალებოდა სასამართლოს ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს ნებაართვის გარეშე გამგზავრება, საცხოვრებელი ადგილის დატოვება ან შეცვლა. ბრალდებული ასევე ვალდებული იყო, კვირაში ორჯერ გამოცხადებულიყო სამართალდამცავ უწყებაში. დღევანდელი მდგომარეობით, ახალი კოდექსის მოქმედების პირობებში, აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება დამატებით, აღკვეთის ძირითად ღონისძიებასთან ერთად და არა – მისგან დამოუკიდებლად, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 199 მუხლის მე-2 ნაწილით.<sup>65</sup>

**კიდევ ერთი მოსამართლე:** „დამოუკიდებლად შეიძლება ელექტრონული მონიტორინგის გამოყენება, შინაპატიმრობის ანალოგის შემოტანა, მთავარია პრაქტიკაში აღსრულების მექანიზმის არსებობა...“

შინაპატიმრობა განეკუთვნებოდა პატიმრობასთან შედარებით

---

65 იხ. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლი ( 2005 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

მსუბუქი ადკვეთის ღონისძიების სახეს და, ძირითადად, გამოიყენებოდა იმ პირების მიმართ, რომელთა სრული იზოლაციაც არ იყო საჭირო. კონკრეტული გარემოებების დეტალურ ჩამონათვალს ითვალისწინებდა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, შინაპატიმრობის დროს განჩინებასა ან დადგენილებაში უნდა აღნიშნულიყო, თუ რა უფლებები ეზღუდებოდა ბრალდებულს. ეს შეიძლება ყოფილიყო გარკვეულ პირებთან ურთიერთობის აკრძალვა, სატელეფონო საუბრების, ასევე, სახლიდან გასვლის შეზღუდვა, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლს, შესაძლოა, მისჩენოდა პოლიციის დაცვა.<sup>66</sup> დღევანდელი მდგომარეობით, შინაპატიმრობა, როგორც ადკვეთის ღონისძიების სახე, რომელიც მოქმედებდა 2005 წლამდე, იმ სახით აღარ არსებობს და სისხლის სამართლის კოდექსში 2017 წელს შესული ცვლილებებით გათვალისწინებულია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე.

გამოკითხული ადვოკატები მიესალმებიან ადკვეთის ღონისძიების სახეების გაზრდას. ერთ-ერთი მათგანის განმარტებით, კარგი იქნება, თუ ადკვეთის ღონისძიების სახედ განისაზღვრება ელექტრონული სამაჯურის ტარება და შინაპატიმრობა. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომ ადკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ სახედ შემოღებული იყოს პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა. კიდევ ერთი ადვოკატი მიიჩნევს, რომ ავტოავარიის საქმეებზე ადკვეთის ღონისძიების სახედ უნდა დაემატოს მართვის მოწმობის მოქმედების შეჩერება.

შეჯამების სახით, შეიძლება, ითქვას, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ემხრობა ადკვეთის ღონისძიების სახეების გაზრდას. მათი ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ ალტერნატიული ადკვეთის ღონისძიებების დიდი არჩევანი მოსამართლეს მისცემს შესაძლებლობას, გამოიყენოს მათ შორის ყველაზე უფრო შესაფერისი, რაც, თავის მხრივ, მკვეთრად შეამცირებს დაუსაბუთებელი, არათანაზომიერი და არაპროპორციული ადკვეთის ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელს.

<sup>66</sup> იხ. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლი (2005 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით).

## II. საერთაშორისო სტანდარტები და სხვა ქვეყნების პრაქტიკა

### შესავალი

წინამდებარე თავში მოცემულია სისხლის სამართალწარმოებაში არსებული აღკვეთის ღონისძიებების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების მოკლე მიმოხილვა და მათი დანერგვის კუთხით ეროვნულ იურისდიქციებში არსებული დაბრკოლებებისა და საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება. მოცემული შედარებითი კვლევა შემუშავდა მეორად კვლევაზე დაყრდნობით, საჯარო სივრცეში ხელმისაწვდომი პირველადი (კანონმდებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და იურისპრუდენცია) და მეორადი წყაროების (აკადემიური სტატიები, ანგარიშები და სხვა შედარებითი კვლევები) გამოყენებით.

აღნიშნული თავის მიზანია აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით საქართველოს ნორმატიული ჩარჩოსა და პრაქტიკის ანალიზისთვის შედარებითი ორიენტირის შექმნა, ამ მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის გამოკვეთა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მთავარი პრინციპი გულისხმობს, რომ ის აღქმული უნდა იყოს თავისუფლების უფლების გამონაკლისად, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი საჭიროების და პროპორციულობის შემთხვევაში. ასეთ გარემოებებში სასამართლომ უნდა გამოიყენოს ნაკლებშემზღუდველი ღონისძიება ხელმისაწვდომ ღონისძიებებს შორის და არაუმეტეს იმ ვადით, სანამ საჭიროა მისი გამოყენება. ზემოაღნიშნულის პრაქტიკაში განსახორციელებლად საჭიროა: კანონით დადგინდეს თავისუფლების პრეზუმფცია; არსებობდეს მთელი რიგი ალტერნატიული ღონისძიებები (ან გათავისუფლების პირობები) პატიმრობის საპირწონედ; დამოუკიდებელი, სამართლიანი და კარგად ინფორმირებული სასამართლო, რომელიც აღჭურვილი იქნება ფართო დისკრეციით და მიეცემა შესაძლებლობა და არჩევანი, გამოიყენოს არასაპატიმრო ღონისძიებები; სამართლიანი სასამართლოს უფლებისადმი სრული პატივისცემა (მათ შორის, დაცვის მხარისადმი და ამ უკანასკნელისთვის ინფორმაციის დროული გამჟღავნება); აღკვეთის ღონისძიების შესახებ სრულად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება; ასეთი გადაწყვეტილებების განხილვის ავტომატური უფლება; აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით სისტემური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უზრუნველყოფა.

## სისხლის სამართალწარმოებაში ადვოკატის ზომების გამოყენებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები

ამ ქვეთავში მოცემულია საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება ადვოკატის დონისძიებებთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოებაში. აღნიშნული სტანდარტები შემუშავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა (ECHR) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) სამართალწარმოების, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) და ადამიანის უფლებათა კომისიის (HRC) სამართალწარმოების და მოსაზრებების, ასევე, არასავალდებულო სამართლის ინსტრუმენტების (როგორცაა არასავალიდრო დონისძიებების შესახებ გაერთიანებული ერების სტანდარტული მინიმალური წესები - „ტოკიოს წესები“) საფუძველზე. ამ სფეროს ძირითადი მამოძრავებელი პრინციპებია უდანაშაულობის პრეზუმფცია და თავისუფლების უფლება. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვა დამოკიდებულია: სასამართლოს უნარზე - გამოიტანოს სწრაფი, სამართლიანი, დამოუკიდებელი, სრულად დასაბუთებული გადაწყვეტილება და ბრალდებულის უფლებაზე - გაცნოს ამგვარ გადაწყვეტილებას.

### უდანაშაულობის პრეზუმფცია

სამართალწარმოების მონაწილე ყველა ბრალდებული მიიჩნევა უდანაშაულოდ მანამ, სანამ არ დამტკიცდება მათი ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ, სამართლიან სასამართლო პროცესზე.<sup>67</sup> იძულებითი დონისძიების შეფარდება საბრალდებო დასკვნის გამოტანამდე, მხოლოდ სახელმწიფოს „გონივრულ ეჭვზე“ დაყრდნობით, თითქოს პირმა ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული, ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის არსს.<sup>68</sup> არსებობს რამდენიმე გარემოება, რომლებიც იძლევა ბრალდებულის თავისუფლე-

<sup>67</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR), მუხლი 14 (2); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR), მუხლი 6 (2).

<sup>68</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR), *ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, მუხ. 84, 89.

ბის აღკვეთის შესაძლებლობას უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის გარეშე: მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ბრალდებულის მიმალვის და სასამართლო პროცესისთვის თავის არიდების რისკების აღკვეთა.<sup>69</sup> მტკიცების ტვირთი გადადის სახელმწიფოზე, რომელმაც უნდა დაასაბუთოს, რომ შემოთავაზებული აღკვეთის ღონისძიება აუცილებელია და პროპორციულად შესაბამეა აღკვეთის ღონისძიების ერთ ან რამდენიმე მიზანს.<sup>70</sup>

### თავისუფლების უფლება

ყველა ადამიანს აქვს თავისუფლების უფლება. დაუშვებელია თვითნებურად ადამიანის დაპატიმრება, დაკავება ან იძულებითი მორჩილების მდგომარეობაში ჩაგდება, გარდა კანონით დადგენილი გარემოებებისა და პროცედურისა.<sup>71</sup> მსჯავრის დამტკიცებამდე თავისუფლების უფლება ითვალისწინებს პირის გათავისუფლების ზოგად პრეზუმფციას.<sup>72</sup> აღნიშნული პრეზუმფცია შეიძლება უგულებელყოფილი იყოს იშვიათ საგამონაკლისო შემთხვევებში, კერძოდ, გონივრული ეჭვის საფუძველზე, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირის წარსადგენად კომპეტენტური იურიდიული ორგანოს წინაშე, ახალი დანაშაულის ჩადენის ან მართლმსაჯულებისგან თავის არიდების აღსაკვეთად.<sup>73</sup> დაუშვებელია ისეთი ზოგადი პრაქტიკის დამკვიდრება, რომლის დროსაც ყველა ბრალდებულს შეეფარდება პატიმრობა.<sup>74</sup> ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვა უნდა იყოს კანონიერი, გონივრული, აუცილებელი და კონკრეტული საქმის გარემოებების პროპორციული.<sup>75</sup> უდანაშაულო

<sup>69</sup> ECtHR, *ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 84, 85-98.

<sup>70</sup> ECtHR, *ილიკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 85.

<sup>71</sup> ICCPR, მუხლი 9(1); ECHR, მუხლი 5(1).

<sup>72</sup> ICCPR, მუხლი 9(3); ECHR, მუხლი 5(3). ECtHR, *მაკეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 41.

<sup>73</sup> ICCPR, მუხლი 9(3); ECHR, მუხლი 5(1). ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), კომენტარი 35, პარ. 38.

<sup>74</sup> HRC-ის ზოგადი კომენტარი 35, პარ. 38.

<sup>75</sup> HRC-ის ზოგადი კომენტარი 35, პარ. 12. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის გადაწყვეტილებები ფაკულტატიური ოქმის (CCPR) თანახმად, *კულოვი ყირგიზეთის წინააღმდეგ*, პარ. 8.3.

პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

დასაშვები საფუძვლები

ბრალდების მხარეს შეუძლია, მოითხოვოს, ხოლო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების თაობაზე, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, ქვემოთ მოცემული ხუთი დასაშვები საფუძვლის არსებობის შემთხვევაში:

- ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულებისთვის თავის არიდება;<sup>76</sup>
- ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების განადგურება;<sup>77</sup>
- ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა სასამართლო პროცესამდე;<sup>78</sup>
- ბრალდებულის მხრიდან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რისკი;<sup>79</sup>
- ბრალდებულის უსაფრთხოების დაცვა.<sup>80</sup>

მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს, რომლის ვალდებულებაა, დაასაბუთოს, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთი ან რამდენიმე საფუძველი ყოველ კონკრეტულ საქმეზე.<sup>81</sup> აღნიშნული უნდა გადაწყდეს ბრალდებულთან დაკავშირებულ სანდო მტკიცებულებებსა ან/და სავარაუდო დანაშაულის გარემოებებზე დაყრდნობით.<sup>82</sup>

<sup>76</sup> ECtHR, *სმირნოვა რუსეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 59.

<sup>77</sup> ECtHR, *სმირნოვა რუსეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 59.

<sup>78</sup> ECtHR, *მიულერი საფრანგეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 44.

<sup>79</sup> ECtHR, *ი.ა. საფრანგეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 104.

<sup>80</sup> ECtHR, *ი.ა. საფრანგეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 104.

<sup>81</sup> ECtHR, *ბარბერა, შესეგე და ჯაბარლო ესპანეთის წინააღმდეგ*, პარ. 77.

<sup>82</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 38.



### პატიმრობა - უკიდურესი ზომა

თავისუფლების უფლება გულისხმობს, რომ პატიმრობა - თავისუფლების მაქსიმალური შეზღუდვა - ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, „პირის დაკავება იმდენად მკაცრი ღონისძიებაა, რომ მისი გამართლება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სხვა, ნაკლებად მკაცრი ღონისძიება მიიჩნევა არასაკმარისად ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად“.<sup>83</sup> ამდენად, პატიმრობა არ უნდა იყოს საწყისი წერტილი აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არამედ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა სხვა ღონისძიება, ერთი და მეტი დასაშვები საფუძვლის მისაღწევად, ჩაითვლება მიზანშეუწონლად.<sup>84</sup>

### ბრალდებულის სასამართლოში წარდგენა გონივრულ ვადაში

დაკავებულ პირს უფლება აქვს, წარდგეს სასამართლოს წინაშე გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს სასამართლო სხდომამდე.<sup>85</sup> ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობა ეწინააღმდეგება თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებასა და უდანაშაულობის პრეზუმფციას.<sup>86</sup> სამართალწარმოების ნებისმიერი შეფერხების გონივრულობა უნდა შეფასდეს თითოეული საქმის გარემოებების, საქმის სირთულის, სამართალწარმოების დროს ბრალდებულის ქცევის და იმ წესების გათვალისწინებით, რომელთა თანახმადაც საქმეს განიხილავს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.<sup>87</sup> არასაკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები არ შეიძლება გახდეს მართლმსაჯულების განხორციელების გაჭიანურების საფუძველი, თუკი ბრალდებული იმყოფება წინასწარ პატიმრობაში.<sup>88</sup> იმ შემთხვევაში, თუ სამართალწარმოების შეფერხება გარდაუვალია,

<sup>83</sup> ECtHR, *ამბრუსკიევიჩი ჰოლონეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 31.

<sup>84</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 38; CCPR, *სმანტსერი ბელარუსის წინააღმდეგ*, პარ. 10.3.

<sup>85</sup> ICCPR, მუხლი 9 (3); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 5(3).

<sup>86</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 36; CCPR, *ჩაგასი ფილიპინების წინააღმდეგ*, პარ. 7.3.

<sup>87</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 37; CCPR, *ტარაითი ალჟირის წინააღმდეგ*, პარ. 8.2-8.4.

<sup>88</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 37; CCPR, *ფილასტრი და ბიზოურნი ბოლივიის წინააღმდეგ*, პარ. 6.5.

სასამართლომ უნდა შეაფასოს პატიმრობის მიზანშეწონილობა და განიხილოს სხვა ალტერნატიული ზომები.<sup>89</sup>

### პატიმრობის ალტერნატიული ქმედითი ალკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი

პატიმრობის შეფარდებისას საჭიროა ისეთი ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიებების ხელმისაწვდომობა, რომლებიც შესაძლებელს გახდის სახელმწიფოს მიერ იდენტიფიცირებული რისკების თავიდან აცილებას და კონკრეტული ალკვეთის ღონისძიებების გამოყენების გამართლებას.<sup>90</sup> არ არსებობს ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიებების საერთაშორისო დონეზე დადგენილი ნუსხა. თითოეული ადგილობრივი იურისდიქცია თავად განსაზღვრავს ალკვეთის ღონისძიებების სახეებს, რომლებიც შეესაბამება კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტს.<sup>91</sup> თუმცა, ქმედითი ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიებების ნაკლებობა იწვევს თავისუფლების ფუნდამენტური უფლების დარღვევას, ვინაიდან ყალიბდება არასაჭირო და არაპროპორციული დამოკიდებულება პატიმრობის გამოყენებაზე.

ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიება პირს უნდა შეეფარდოს კანონის შესაბამისად, დანაშაულისა და სავარაუდო დამნაშავის შეფასების საფუძველზე და გადაისინჯოს სასამართლოს მიერ. როგორც წესი, ზოგიერთი ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიება, რომელიც პატიმრობასთან შედარებით ნაკლებიძულებითი ზომია, შესაძლოა, აღმოჩნდეს თავისუფლების მძიმე შეზღუდვა სრულიად უდანაშაულო ადამიანისთვის (მაგალითად, შინაპატიმრობა, გარკვეულ დროსა და ადგილას გამოცხადების ვალდებულება და ელექტრონული

<sup>89</sup> CCPR, ტარაითი ალკვირის წინამდებ, პარ. 8.3.

<sup>90</sup> ECtHR, მიჩალკო სლოვაკეთის წინამდებ, გადაწყვეტილება, პარ. 145. სახელისუფლებო ორგანოები ვალდებული არიან, პირის გათავისუფლების ან დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ასევე განიხილონ ის ალტერნატიული ალკვეთის ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს პირის გამოცხადებას სასამართლო პროცესზე.

<sup>91</sup> UNGA-ს რეზოლუცია 45/110, „გეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ტოკიოს წესები)«, 1990 წლის 14 დეკემბერი, მუხლი 1.3: წესები უნდა განხორციელდეს თითოეული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების და მათი სისხლის სამართლის კანონების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.

მეთვალყურეობა).<sup>92</sup> მაშასადამე, მნიშვნელოვანია, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული იყოს „მინიმალური ჩარევის პრინციპის“ შესაბამისად.<sup>93</sup>

### აუცილებლობის პრინციპი

აღკვეთის ღონისძიება, შესაძლოა, პირს შეეფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი ზომა აუცილებელია დასაშვები საფუძვლების მისაღწევად.<sup>94</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) განმარტების თანახმად, „საკმარისი არ არის ის, რომ თავისუფლების აღკვეთა შესაბამეა ეროვნულ კანონმდებლობას, იგი აუცილებელი უნდა იყოს კონკრეტულ გარემოებებში“.<sup>95</sup> შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების ბლანკეტური გამოყენება ნებისმიერ სიტუაციაში ან ნებისმიერი ბრალდებისას ეწინააღმდეგება თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას.<sup>96</sup> აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა უნდა შეფასდეს ბრალდებულისა და სავარაუდო დანაშაულის გარემოებების მიხედვით, თითოეულ კონკრეტულ საქმეში.<sup>97</sup>

### პროპორციულობის პრინციპი

იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღკვეთის ღონისძიება ჩაითვლება „აუცილებელ“ ზომად დასაშვები საფუძვლების მისაღწევად, სახელმწიფო მაინც ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ ამგვარი ღონისძიება და მისი ზეგავლენა ბრალდებულის თავისუფლებაზე პროპორციულად

---

<sup>92</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 5; აგრეთვე იხილეთ: CCPR, *გორჯი-დინკა კაბერუნის წინააღმდეგ*, პარ. 5.4; HRC-ის დასკვნითი მოსაზრებები: *გერთიანებული სამეფო (CCPR / C / GBR / CO / 6, 2008)*, პარ. 17 (აღკვეთის ღონისძიების ორდერი, მათ შორის, 16-საათიანი კომენდანტის საათი).

<sup>93</sup> ტოკიოს წესები, მუხლი 2.6.

<sup>94</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 38.

<sup>95</sup> ECtHR, *ამბრუსკიევიჩი ჰოლონეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 31.

<sup>96</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 38: „წინასწარი პატიმრობა არ შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულის წინააღმდეგ მისი ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე“.

<sup>97</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 38; HRC-ის დასკვნითი მოსაზრებები: *არგენტინა (CCPR / CO / 70 / ARG, 2000)*, პარ. 10.

შესატყვისება იმ მიზანს, რისთვისაც ეს ღონისძიება იყო მოთხოვნილი.<sup>98</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად შესაძლებელი იქნება ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების მეშვეობით.<sup>99</sup> მაშასადამე, აუცილებელია, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრს და მოსამართლეს ჰქონდეს დისკრეცია მათ გამოსაყენებლად.

### დაუსაბუთებელი შუამდგომლობები

აღკვეთის ღონისძიების შეფარდება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შუამდგომლობას, რომელიც მიუთითებს მის აუცილებლობასა და პროპორციულობაზე დასაშვებ საფუძვლებთან მიმართებით. შესაბამისად, პროკურორის ეჭვი, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული (არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად მძიმე), არ შეიძლება, თავისთავად გახდეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძველი.<sup>100</sup> ასევე, არ შეიძლება აღკვეთის ღონისძიების შეფარდება მხოლოდ იმის გამო, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი ითვალისწინებს ხანგრძლივი ვადით პატიმრობას.<sup>101</sup> მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბრალდებული უცხოეთის მოქალაქეა და არსებობს ქვეყნის დატოვების რისკი, არ შეიძლება, გახდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.<sup>102</sup> ანალოგიურად, დაუშვებელია პირის პატიმრობაში დატოვება „საზოგადოებრივი ინტერესის“ დაცვის მოტივით, თუკი სახელმწიფო ვერ შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ამგვარი ინტერესი არის ქმშარიტად საფუძვლიანი და აღემატება ბრალდებულის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას.<sup>103</sup>

<sup>98</sup> ECtHR, ცხოველების საერთაშორისო დამცველები ბრიტანეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება, პარ. 108.

<sup>99</sup> ECtHR, ლადენტი პოლონეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება, პარ. 55.

<sup>100</sup> ECtHR, ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება, პარ. 89.

<sup>101</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 38.

<sup>102</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 38; CCPR, ჰილი და ჰილი ესპანეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება, პარ. 12.3.

<sup>103</sup> ECtHR, მიჩალოკ სლოვაკეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება, პარ. 149.

## **დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ სწრაფი, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება**

### სწრაფი გადაწყვეტილება

სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის დაკავებული ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა წარდგეს კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა მისი პატიმრობის გაგრძელების ან სხვა აღკვეთის ღონისძიების (ღონისძიებების) შეფარდების სამართლებრივი საფუძველი.<sup>104</sup> ტერმინი „დაუყოვნებლივ“ არ არის განსაზღვრული და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე,<sup>105</sup> თუმცა, შემთხვევების უმეტესობაში 48 საათი წარმოადგენს დაკავებასა და სასამართლო განხილვას შორის დროის მაქსიმალურ ინტერვალს.<sup>106</sup> სასამართლო სხდომა უნდა ჩატარდეს და გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ფიზიკურად ესწრება სასამართლო პროცესს.<sup>107</sup>

### კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლო

სასამართლო ორგანო, რომელიც დაკავების საფუძველებს განიხილავს, უნდა იყოს დამოუკიდებელი მხარეების ზეგავლენისგან.<sup>108</sup> გარდა ამისა, მას უნდა ჰქონდეს კომპეტენცია და იურიდიული უფლებამოსილება, მოითხოვოს ბრალდებულის გათავისუფლება, პატიმრობაში დატოვება ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აღკვეთის ღონისძიების (ღონისძიებების) შეფარდება.<sup>109</sup>

<sup>104</sup> ICCPR, მუხლი 9 (3); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 5 (3); HRC-ის კომენტარი 35, პარ. 32.

<sup>105</sup> ECtHR, *რებოკი სლოვენის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 84.

<sup>106</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 33; ECtHR, *ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 62; CCPR, *კოვში ბელარუსის წინააღმდეგ*, პარ. 7.3-7.5: ნებისმიერი დაყოვნება, რომელიც აღემატება 48 საათს, წარმოადგენს აბსოლუტურ გამონაკლისს და გამართლებული უნდა იყოს შესაბამისი გარემოებებით.

<sup>107</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 34; CCPR, *ვოლფი პანამის წინააღმდეგ*, პარ. 6.2.

<sup>108</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 32; CCPR, *კულომინი უნგრეთის წინააღმდეგ*, პარ. 11.3; ECtHR, *ნეუმისტერი ავსტრიის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 24.

<sup>109</sup> ECtHR, *სინგჰი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 65.

### სრულად დასაბუთებული გადაწყვეტილებები

აღკვეთის ღონისძიების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს სრულად დასაბუთებული და არ უნდა ტოვებდეს კითხვებს შეფარდებული ღონისძიების აუცილებლობისა და პროპორციულობის შესახებ.<sup>110</sup> გადაწყვეტილება არ უნდა იყოს „ფორმალური“ ან „ბლანკეტური“.<sup>111</sup> სასამართლომ უნდა შეისწავლოს ბრალდება და დანაშაულის კონკრეტული ასპექტები,<sup>112</sup> აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დასაბუთებისას არ უნდა შემოიფარგლოს ზოგადი და აბსტრაქტული მიზეზებით.<sup>113</sup> გადაწყვეტილება სათანადოდ დასაბუთებულად მიიჩნევა, თუკი მოიცავს მიზეზებსა და არგუმენტებს, რომლებიც იძლევა ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების საკმარის საფუძველს.<sup>114</sup>

### **აღკვეთის ღონისძიების ჭეშმარიტი და რეგულარული გადასინჯვის უფლება**

ნებისმიერ პირს, რომელსაც შეეფარდება აღკვეთის ღონისძიება, უფლება აქვს, მოითხოვოს მისი გადასინჯვა კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ.<sup>115</sup> ბრალდებულს ამ უფლებით სარგებლობა უნდა შეეძლოს რეგულარულად და პერიოდულად მთელი სამართალწარმოების მანძილზე.<sup>116</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) გადაწყვეტილების თანახმად,

<sup>110</sup> ECtHR, *მორეირა ფერეირა პორტუგალიის წინააღმდეგ* (№2), გადაწყვეტილება, პარ. 84.

<sup>111</sup> ECtHR, *იაგვი და სარგინი თურქეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარა. 52.

<sup>112</sup> ECtHR, *ბუზაჯი მოლდოვას წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 90.

<sup>113</sup> ECtHR, *სმირნოვა რუსეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 63.

<sup>114</sup> ECtHR, *ჰადიჯანასტასიუ საბერძნეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 33; ევროპის საბჭო „სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად“, *ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო*, 2012, გვ. 70, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ციტირება, *რუიზ თორია ესპანეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 29-30 და ECtHR, *ჰირვისაარი ფინეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 30-33.

<sup>115</sup> ICCPR, მუხლი 9 (4); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 5 (4); HRC-ის კომენტარი 35, პარ. 4, 39-48.

<sup>116</sup> HRC-ის კომენტარი 35, პარ. 38; ECtHR, *დე ვილდი, უმსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 76; ECtHR, *რაკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 43; CCPR, *ტარაითი ალჟირის წინააღმდეგ*, პარ.8.3-8.4.

გადასინჯვა უნდა განხორციელდეს ავტომატურად, გონივრული ინტერვალებით და ბრალდებულის მხრიდან ამგვარი გადასინჯვის მოთხოვნის დაყენების აუცილებლობის გარეშე.<sup>117</sup> აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის განმხილველი სასამართლო პროცესი უნდა წარიმართოს ზეპირად, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის, სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.<sup>118</sup> აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და არ უნდა წარმოადგენდეს საქმესთან დაკავშირებით მანამდე მიღებული გადაწყვეტილების ზუსტ ასლს.<sup>119</sup>

აღკვეთის ღონისძიების კანონიერების დადასტურება მოითხოვს მუდმივი გონივრული ეჭვის არსებობას, რომ დანაშაული ჩადენილი იყო ბრალდებულის მიერ.<sup>120</sup> თუკი ამგვარი ეჭვი არ არსებობს (ან აღარ არის გონივრული), ბრალდებულს უნდა შეეძლოს აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრება. ანალოგიურად, განმხილველმა ორგანომ თავიდან უნდა განიხილოს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პროპორციულობა ახალი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში და გაითვალისწინოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ზოგადი ვალდებულება.<sup>121</sup> ბრალდებულს უნდა შეეძლოს ისეთი აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრება, რომელიც აღარ არის აუცილებელი ან/და პროპორციული დასაბუთებული მიზეზების მისაღწევად.<sup>122</sup> სამართალწარმოების დროს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების აუცილებლობისა

---

<sup>117</sup> ECtHR, *მაკკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 45; ECtHR, *აბდულჰაკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 209.

<sup>118</sup> ECtHR, *სინგჰი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 65.

<sup>119</sup> ECtHR, *ილიკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 84.

<sup>120</sup> ECtHR, *მაკკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 45.

<sup>121</sup> ECtHR, *დარვასი უნგრეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 27; ECtHR, *აბდულჰაკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 209. HRC-ის კომენტარი 35, პარ. 43: „უკანონო დაკავება გულისხმობს პატიმრობას, რომელიც კანონიერი იყო თავიდან, თუმცა, გახდა უკანონო, რადგან [...] შეიცვალა გარემოებები, რომლითაც პატიმრობის გამართლება იყო შესაძლებელი“.

<sup>122</sup> მაგ. ECtHR, *ი.ა. საფრანგეთის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილება, პარ. 104 - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება უნდა გაუქმდეს, თუკი აღარ არსებობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხე.

და პროპორციულობის მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფო ბრალმძებელს.

### **საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ძირითადი დაბრკოლებები**

კვლევის ფარგლებში შესწავლილი ყველა სახელმწიფოს იურისდიქცია სხვადასხვა ხარისხით ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით. თავისუფლების ფუნდამენტური უფლების დარღვევის მაჩვენებელი აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებისას შეადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) მიერ განხილული საქმეების დაახლოებით 14%-ს.<sup>123</sup> საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესში გამოვლენილი ძირითადი დაბრკოლებებია: არასათანადო კანონმდებლობა, არაადეკვატური და ობსტრუქციული პროცედურები და პრაქტიკა ან/და კულტურული სტერეოტიპები, საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ინფორმაციისა და ცნობიერების ნაკლებობა.

#### საკანონმდებლო ბარიერები

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) მითითებების მიუხედავად, ზოგიერთი ქვეყანა აგრძელებს საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო კანონმდებლობის გამოყენებას აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით. არასათანადო კანონმდებლობის გამოვლინებაა დაუსაბუთებელი საფუძვლებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, არასაკმარისი ალტერნატიული ღონისძიებების არსებობა, სასამართლო დისკრეციისთვის საკანონმდებლო დაბრკოლებების შექმნა და კანონისმიერი შეზღუდვების დაწესება აღკვეთის ღონისძიებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვის უფლებაზე.

<sup>123</sup> „უკიდურესი ზომა, წინასწარი დაკავების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა ევროკავშირში“ (სამართლიანი სასამართლოები), 2016 წლის მაისი, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/publication/measure-last-resort>: დაფუძნებულია 2011-2015 წლების ECtHR-ის ყოველწლიურ ანგარიშებზე.



ალკვეთის ღონისძიებების შეფარდებისთვის დაუშვებელი  
საფუძვლები

საერთაშორისო სტანდარტები გვთავაზობს შემთხვევების მცირე ჩამონათვალს, რომლებიც იძლევა ალკვეთის ღონისძიების შეფარდების საშუალებას დასაშვებ საფუძვლებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობა, შესაძლებელია, არ გვთავაზობდეს დასაშვები საფუძვლების ზუსტ ჩამონათვალს, ის მაინც უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით დამკვიდრებულ არსსა და განსაკუთრებულ ბუნებას. ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, შეუფარდოს ბრალდებულს ალკვეთის ღონისძიება დასაშვები საფუძვლებისგან გადახვევით, ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას.<sup>124</sup>

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, შესაძლოა, აღმოჩნდეს პატიმრობის კანონით დასაშვები საფუძვლების ჩამონათვალში, როგორც ერთ-ერთი გარემოება, რომელიც სასამართლოს მხრიდან მკაცრ კონტროლს მოითხოვს. ასეთი გარანტიის გარეშე, აღნიშნული საფუძველი შეიძლება გახდეს პოლიტიკური ოპონენტების შევიწროების, განსხვავებული აზრის დევნის ინსტრუმენტი და არ შეესაბამებოდეს თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას.<sup>125</sup> მოკუნგის საქმეში ადამიანის უფლებათა კომისიამ დაადგინა, რომ კამერუნმა ბრალდებულის დაკავებით დაარღვია მისი თავისუფლების ფუნდამენტური უფლება, განარიდა რა იგი საზოგადოებრივ საქმიანობას, რათა დაეცვა „ეროვნული ერთობა“ რთული პოლიტიკური ვითარების დროს.<sup>126</sup> ნიდერლანდებში „საზოგადოებრივი წესრიგი“ ფართოდ არის განმარტებული, რათა გამართლებული იყოს ალკვეთის ღონისძიების გამოყენება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. იგი არ საჭიროებს დამატებით

<sup>124</sup> სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს ამ საფუძვლის არსებობა და, ასევე, აჩვენოს, რომ იგი შეესაბამება თავისუფლების უფლებას.

<sup>125</sup> OHCHR, „ადამიანის უფლებები მართლმსაჯულების აღსრულებისას: ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო მოსამართლეებისთვის, პროკურორებისა და ადვოკატებისათვის“, მე-5 თავი: ადამიანის უფლებები და პატიმრობა, წინასწარი დაკავება და აღმინისტრაციული დაკავება, გვ. 194, ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/Documents/Publications/training9chapter5en.pdf>.

<sup>126</sup> CCPR, მოკუნგი კამერუნის წინააღმდეგ, პარ. 9.7-9.8.

იმის მტკიცებას, რომ ბრალდებულის გათავისუფლება გამოიწვევს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.<sup>127</sup> იტალიაში წინასწარი პატიმრობა სავალდებულოა, როდესაც საქმე ეხება მაფიის დანაშაულებს, ტერორიზმსა და ხელისუფლების დამხობას.<sup>128</sup>

### პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების სიმცირე და სასამართლო დისკრეციაზე არსებული შუზღუდვები

ქვეყნის კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი და სასამართლოებს მათი გამოყენების ფართო დისკრეცია მიანიჭოს. პატიმრობის ალტერნატივების არასათანადო რაოდენობა ზღუდავს სასამართლოს, შეაფასოს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების აუცილებლობა, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს არაპროპორციული ღონისძიების შეფარდება. ეფექტური ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების ნაკლებობა აზრს უკარგავს პრინციპს, რომ წინასწარი პატიმრობა არის „უკიდურესი ზომა“.

წინამდებარე კვლევის მომზადების მომენტისთვის, პოლონეთსა და ესპანეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შინაპატიმრობა ელექტრონული მეთვალყურეობით არ გამოიყენება პატიმრობის ალტერნატივად,<sup>129</sup> რაც მოსამართლეებს უზღუდავს არჩევანის საშუალებას ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვან საქმეებთან დაკავშირებით. ეს კი, განაპირობებს პატიმრობის შეფარდების მაჩვენებლის ზრდას.

გარდა ამისა, სასამართლო დისკრეციაზე საკანონმდებლო შუზღუდ-

---

<sup>127</sup> ლეიდენის უნივერსიტეტი, „წინასწარი დაკავება ნიდერლანდებში: სამართლებრივი პრინციპები პრაქტიკული რეალობის პირისპირ: კვლევის ანგარიში», 2016 წლის მარტი, გვ. 37, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/j.h.-crijns2c-b.j.g.-leeuw-h.t.-wermink-pre-trial-detention-in-the-netherlands.-legal-principles-versus-practical-reality.pdf>.

<sup>128</sup> ანტიგონე, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა იტალიაში: კვლევის ანგარიში», 2015 წლის სექტემბერი, გვ. 16, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/The-practice-of-pre-trial-detention-in-Italy1.pdf>; ციტირებულია კანონი 47/2015.

<sup>129</sup> პელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდი, „წინასწარი დაკავება პოლონეთში», 2015წ. გვ. 77, ხელმისაწვდომია: [http://www.hfhr.pl/wp-content/uploads/2016/02/HFHR\\_PTD\\_2015\\_EN.pdf](http://www.hfhr.pl/wp-content/uploads/2016/02/HFHR_PTD_2015_EN.pdf); APDHE, „La Practica de la provisional en España», 2015 წლის ნოემბერი, გვ. 49, ხელმისაწვდომია: [https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/INFORME\\_LA-PRACTICA-DE-LA-PRISION-PROVISIONAL.pdf](https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/INFORME_LA-PRACTICA-DE-LA-PRISION-PROVISIONAL.pdf).

ვების დაწესებამ და ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში პროცედურული დაბრკოლებების შექმნამ, შეიძლება, გამოიწვიოს ისეთი ალკვეთის ღონისძიებების შეფარდება, რომლებიც კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არც აუცილებელია და არც პროპორციული. პრაქტიკაში, ასეთ შეზღუდვებს, შესაძლოა, მოჰყვეს წინასწარი პატიმრობის უფრო ხშირი შეფარდება, რაც ეწინააღმდეგება თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებასა და უდანაშაულობის პრეზუმფციას.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისისა და უელსის კანონმდებლობა, უმეტესწილად, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, იგი მაინც შეიცავს გარკვეული შემთხვევების ჩამონათვალს, როდესაც თავისუფლების უფლება სრულად არის შეზღუდული. კერძოდ, 1994 წლის სისხლის სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის კანონის თანახმად, სასამართლოს ეკრძალება გირაოს შუამდგომლობის დაკმაყოფილება იმ ბრალდებულების მიმართ, რომლებსაც ბრალი ედებათ მკვლელობაში, მკვლელობის მცდელობაში, გაუპატიურებაში, გაუპატიურების მცდელობასა ან სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილ სხვა დანაშაულებში. ასევე, გირაოს გამოყენება დაუშვებელია იმ ბრალდებულის მიმართ, რომელიც ნასამართლევია იყო წარსულში რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულისთვის, თუკი სასამართლო არ მიიჩნევს, რომ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები ბრალდებულის ამგვარი ქმედების გასამართლებლად.<sup>130</sup> პრაქტიკაში, ეს წარმოშობს ფორმალურ პრეზუმფციას, რომ ასეთ შემთხვევებში პატიმრობა აუცილებელია, რაც ზღუდავს სასამართლოს დისკრეციულ უფლებას, შეაფასოს დანაშაულის კონკრეტული გარემოებები.

ნიდერლანდების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოსამართლეს ავალდებულებს, პირველ რიგში, შეაფასოს პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხი და მხოლოდ ამის შემდგომ იმსჯელოს არასაპატიმრო ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობაზე. აღნიშნული მიდგომა ცხადად ეწინააღმდეგება პრინციპს, რომ პატიმრობა უკიდურესი ზომია და მის გამოყენებაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაიწყოს, რაც სხვა ღონისძიებების შეფარდების შესაძლებლობა ამოიწურება. პრაქტიკაში ამან გამოიწვია

---

<sup>130</sup> ეროვნული არქივები, „1994 წლის კანონი სისხლის სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ», მუხლი 25, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1994/33/section/25>.

პატიმრობის მეტისმეტად ხშირად გამოყენება და ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების უგულბელებაც.<sup>131</sup>

### აღკვეთის ღონისძიების რეალური და რეგულარული გადასინჯვის ნაკლებობა

ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბრალდებულს რეგულარულად ჰქონდეს შესაძლებლობა, მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვა. ნებისმიერი საკანონმდებლო ბარიერი და ხარვეზი, რომელიც ზღუდავს გადასინჯვის უფლებას, წარმოშობს თავისუფლების ფუნდამენტური უფლებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

ინგლისსა და უელსში აღკვეთის ღონისძიების განხილვის პროცედურა შემოიფარგლება ორი სასამართლო მოსმენით. მეორე სასამართლო პროცესზე ბრალდებული ვალდებულია, დაასახელოს ფაქტობრივი ცვლილებები საქმის გარემოებებში. პრაქტიკაში, აღკვეთის ღონისძიების აუცილებლობისა და პროპორციულობის მტკიცების ტვირთი გადადის დაცვის მხარეზე, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას.<sup>132</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულია აღკვეთის ღონისძიების რეგულარული გადასინჯვა, პრაქტიკაში, ხშირად ამგვარი გადასინჯვა თავდაპირველი გადაწყვეტილების დადასტურებაა და ხორციელდება შესაბამისი გარემოებების შესწავლის გარეშე, წერილობითი ფორმით, ბრალდებულის არყოფნის პირობებშიც კი.<sup>133</sup> პოლონეთში აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვა არ ხდება საკმარისი რეგულარულობით, რაც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების განგრძობითი აუცილებ-

<sup>131</sup> ლეიდენის უნივერსიტეტი, „წინასწარი დაკავება ნიდერლანდებში: სამართლებრივი პრინციპები პრაქტიკული რეალობის პირისპირ: კვლევის ანგარიში», 2016 წლის მარტი, გვ. 33 და სხვ. ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/j.h.-crijns2c-b.j.g.-leeuw-h.t.-wermink-pre-trial-detention-in-the-netherlands.-legal-principles-versus-practical-reality.pdf>.

<sup>132</sup> დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ინგლისსა და უელსში», 2016 წლის თებერვალი, გვ. 94 და სხვ. ხელმისაწვდომია: <http://eprints.uwe.ac.uk/28291/>.

<sup>133</sup> APDHE, «La Practica de la prison provisional en España», 2015 წლის ნოემბერი, გვ. 51 და სხვ. ხელმისაწვდომია: [https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/INFORME\\_LA-PRACTICA-DE-LA-PRISION-PROVISIONAL.pdf](https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/INFORME_LA-PRACTICA-DE-LA-PRISION-PROVISIONAL.pdf).

ლობისა და პროპორციულობის დადგენის უზრუნველსაყოფად. საქმის მასალებზე არასათანადო წვდომის, ბრალდებულისა და ადვოკატის შეხვედრების შეზღუდული რაოდენობისა და არაადეკვატური ხანგრძლივობის შედეგად, ალკვეთის ღონისძიების გაუქმებისა ან შეცვლის მაჩვენებელი 3%-ს არ აღემატება.<sup>134</sup>

### **პროცედურული და პრაქტიკული ბარიერები**

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ქვეყანამ უზრუნველყო ალკვეთის ღონისძიებებთან მიმართებით საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან დაახლოება, მაინც ფიქსირდება მთელი რიგი პროცედურული და პრაქტიკული ბარიერები, რომლებიც, პრაქტიკაში, იწვევს თავისუფლების უფლებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელოვან დარღვევებს.

#### არასაკმარისი დრო და რესურსი სასამართლო სხდომისთვის მოსამზადებლად

პრაქტიკაში, ადვოკატებს, როგორც წესი, იშვიათად აქვთ საკმარისი დრო პირის დაკავებასა და ალკვეთის ღონისძიების განმხილველ პირველ სასამართლო სხდომას შორის იმისათვის, რომ შეძლონ ყველა მტკიცებულების შესწავლა, ბრალდებულისთვის სრულყოფილი კონსულტაციისა და რჩევების მიწოდება. ზემოაღნიშნულის მიზეზებია: კანონით გათვალისწინებული მცირე ვადები, რომლის ფარგლებშიც ბრალდებული უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე; საქმეების განრიგისა და მართვის ხარვეზი; პროკურატურის მასალების დაგვიანებული გამჟღავნება; არასაკმარისი რესურსების მქონე სასამართლოები და სასამართლო მოხელეები; იურიდიული დახმარების ცენტრის ადვოკატთა არასათანადო ანაზღაურება. ალკვეთის ღონისძიების სასამართლო პროცესისთვის მოუმზადებლობა ბრალდებულს ართმევს შესაძლებლობას, წარმოადგინოს პროკურატურის არგუმენტების საწინააღმდეგო ვერსია, რაც შედეგად იწვევს მისთვის არასაჭირო და არაპროპორციული ალკვეთის ღონისძიების შეფარდებას.

---

<sup>134</sup> ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდი, „წინასწარი დაკავება პოლონეთში«, 2015, გვ. 60 და სხვ. ხელმისაწვდომია: [http://www.hfhr.pl/wp-content/uploads/2016/02/HFHR\\_PTD\\_2015\\_EN.pdf](http://www.hfhr.pl/wp-content/uploads/2016/02/HFHR_PTD_2015_EN.pdf).

იტალიაში ადვოკატებს, როგორც წესი, საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა ეძლევათ აღკვეთის ღონისძიების თავდაპირველი სასამართლო სხდომის დაწყებამდე 10-30 წუთით ადრე. აქედან გამომდინარე, მათ არ აქვთ საკმარისი დრო პროცესისთვის მოსამზადებლად, რაც განაპირობებს მოსამართლეების მეტად დამოკიდებულებას პროკურატურის არგუმენტებზე.<sup>135</sup> საბერძნეთის სასამართლოებში უცხოელ ბრალდებულებს არ აწოდებენ საქმის მასალების თარგმნილ ვარიანტს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ბრალდებულისთვის სასამართლო სხდომისთვის მომზადების შესაძლებლობას.<sup>136</sup>

### პროკურატურის მასალების გაცნობის საკითხი

ბრალდებულის პირველი წარდგენის სასამართლო სხდომამდე პროკურატურის ხელთარსებული წინასწარი გამოძიების მასალების დაგვიანებული ან არასრულყოფილი გადაცემა/გაცნობა ართულებს ბრალდებულის შესაძლებლობას, შეისწავლოს და ეფექტურად შეეწინააღმდეგოს პროკურატურის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, რაც განაპირობებს არასაჭირო და არაპროპორციული აღკვეთის ღონისძიების დაკისრებას.

პრაქტიკაში, ინგლისსა და უელსში დაცვის მხარე მცირე ინფორმაციას იღებს პროკურატურისგან აღკვეთის ღონისძიების სხდომამდე და ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ პოლიციის მიერ შეგროვებული მასალებითა და დასკვნებით.<sup>137</sup> პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთა 50%-ის მიმართ სასამართლოს საბოლოოდ გამოაქვს გამამართლებელი გადაწყვეტილება ან უსჯის არასაპატიმრო სასჯელს იმაზე მითითებით, რომ აუცილებლობა და პროპორციულობა არ იყო სათანადოდ გამოკვლეული ბრალდებულის პირველი წარდგე-

<sup>135</sup> ანტიგონე, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა იტალიაში: კვლევის ანგარიში», 2015 წლის სექტემბერი, გვ. 27, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/The-practice-of-pre-trial-detention-in-Italy1.pdf>.

<sup>136</sup> ევროპის საკონსტიტუციო სამართლის ცენტრი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა საბერძნეთში: კვლევის ანგარიში», 2015 წლის დეკემბერი, გვ. 25-26, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/The-Practice-of-pre-trial-detention-in-Greece.pdf>.

<sup>137</sup> დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ინგლისსა და უელსში: კვლევის ანგარიში», 2016 წლის თებერვალი, 3.2, 4.3, ხელმისაწვდომია:<http://eprints.uwe.ac.uk/28291/>.

ნის სასამართლო სხდომებზე.<sup>138</sup> ესპანეთში აღკვეთის ღონისძიების სასამართლო სხდომამდე საქმის მასალებზე წვდომის უფლება მკაცრად შეზღუდულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლის ხშირად გამოყენებადი *სამართალწარმოების კონფიდენციალურობის წესის* საფუძველზე.<sup>139</sup>

აღკვეთის ღონისძიების განხილვისთვის გამოყოფილი არასაკმარისი დრო

ხშირად აღკვეთის ღონისძიების განხილვასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებს ეთმობა არასათანადო დრო, რაც განპირობებულია რესურსების ნაკლებობით და არააფექტური საქმისწარმოებით.<sup>140</sup> ამგვარი მცირე ვადების გამო, ბრალდებულებს არ ეძლევათ საშუალება, ეფექტურად გაასაჩივრონ პროკურატურის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. ამასთან, ხანმოკლე სასამართლო პროცესი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მოსამართლემ სრულყოფილად გამოიკვლიოს ბრალდებულის შესახებ ინფორმაცია და სავარაუდო დანაშაულის კონკრეტული გარემოებები, რასაც შედეგად მოსდევს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს აუცილებლობის, პროპორციულობისა და ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების სათანადოდ შერჩევის პრინციპს. ხანმოკლე სასამართლო პროცესები, ისეთ ქვეყნებში, სადაც მძლავრობს პროკურატურისადმი ლოიალური და მიკერძოებული დამოკიდებულება, იწვევს ბრალდების მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების დაკმაყოფილებას იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეს არღვევს თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას და უდანაშაულობის პრეზუმფციას.

---

<sup>138</sup> დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ინგლისსა და უელსში“, 2016 წლის თებერვალი, გვ. 15-16. ხელმისაწვდომია: <http://eprints.uwe.ac.uk/28291/>.

<sup>139</sup> APDHE, «La Practica de la prison provisional en España», 2015 წლის ნოემბერი, გვ. 31 და სხვ. ხელმისაწვდომია: [https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/INFORME\\_LA-PRACTICA-DE-LA-PRISION-PROVISIONAL.pdf](https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/INFORME_LA-PRACTICA-DE-LA-PRISION-PROVISIONAL.pdf).

<sup>140</sup> მაგ. ირლანდიაში აღკვეთის ღონისძიების განხილველი სასამართლო პროცესები გრძელდება 2-დან 15 წუთის განმავლობაში, საშუალოდ - 8 წუთი. ირლანდიის სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ირლანდიაში: კვლევითი პროექტი«, 2016 წლის აპრილი, გვ. 33, ხელმისაწვდომია: [http://www.iprt.ie/files/PTD\\_Country\\_Report\\_Ireland\\_FINAL\\_updated.pdf](http://www.iprt.ie/files/PTD_Country_Report_Ireland_FINAL_updated.pdf).

### დაუსაბუთებელი და/ან ფორმალური გადაწყვეტილებები

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ მიღებული მოკლე, ფორმალური, ბლანკეტური და არასათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების საჭიროების დამტკიცებას. ასეთი ხარვეზები ხელს უშლის იმის აღქმას, თუ რა გარემოებები იყო (ან არ იყო) გათვალისწინებული, შეფასდა თუ არა მოთხოვნილი ღონისძიებების აუცილებლობა და პროპორციულობა. აღნიშნული ასევე ართულებს იმის გარკვევას, თუ რამდენად შეესაბამება რომელიმე აღკვეთის ღონისძიება ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად შეუძლებელია ამგვარი გადაწყვეტილების ეფექტურად გასაჩივრება ან აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის მოთხოვნა. წინასწარი პატიმრობისა და პროკურატურისადმი მიკერძოებული დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში ფორმალური და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები წარმოშობს საფუძვლიან ვარაუდს თავისუფლების ფუნდამენტური უფლებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევასთან დაკავშირებით.

აღკვეთის ღონისძიების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები საბერძნეთში, უნგრეთში, იტალიაში, ლიტვაში, ნიდერლანდებში, პოლონეთში, რუმინეთსა და ესპანეთში იყო მოკლე, ფორმალური და არასათანადოდ დასაბუთებული.<sup>141</sup> პოლონეთში ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების განმხილველი სასამართლო პროცესები, ზოგადად, შემოიფარგლება ერთი ფორმალური წინადადებით, რომ სამართალწარმოების განხორციელება სხვაგვარად შეუძლებელია.<sup>142</sup> ლიტვაში აღკვეთის ღონისძიებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დიდი უმრავლესობა ანალოგიურად გთავაზობს პატიმრობის დასაბუთებას შემდეგი წინადადებით: „მოცემული კრიმინალური საქმიანობა, სავარაუდოდ, გახდება ბრალდებულის შემოსავლის პირველადი წყარო და ის კვლავ გააგრძელებს აღნიშნული ქმედების განხორციელებას, თუ არ მოხდება მისი წინა-

<sup>141</sup> „უკიდურესი ზომა, წინასწარი დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა ევროკავშირში“ (სამართლიანი სასამართლოები), 2016 წლის მაისი. პარ. 61, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/publication/measure-last-resort>.

<sup>142</sup> მაგალითად, ჰელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდი, „წინასწარი დაკავება პოლონეთში“, 2015წ. გვ. 73, ხელმისაწვდომია: [http://www.hfhr.pl/wp-content/uploads/2016/02/HFHR\\_PTD\\_2015\\_EN.pdf](http://www.hfhr.pl/wp-content/uploads/2016/02/HFHR_PTD_2015_EN.pdf);



სწარი დაკავება”.<sup>143</sup>

## კულტურული ბარიერები

### პროკურატურისადმი მიკერძოების კულტურა

პროკურატურისადმი მიკერძოება პოსტსაბჭოთა ქვეყნების კულტურული მეტყვიდრეობაა.<sup>144</sup> უფროსი ასაკის მოსამართლეებმა და სასამართლო მოხელეებმა განათლება მიიღეს და გადამზადება გაიარეს იმ ეპოქაში, როდესაც პროკურატურა წარმოადგენდა სახელმწიფოს. სასამართლო ექვემდებარებოდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას. ადვოკატის ღონისძიების შერჩევას, შემოღ-ნიშნული წარსული მოსამართლეებს უბიძგებს, მარტივად დაეთა-ნხმონ პროკურატურის მიერ მოთხოვნილ ღონისძიებას – მისი აუცილებლობისა და პროპორციულობის გათვალისწინების გარეშე. რუმინეთში, პოლონეთში, ლიტვასა და უნგრეთში, მოსამართლეები პროკურატურის მიერ მოთხოვნილ შუამდგომლობებს ადვოკატის ღონისძიებების შეფარდების შესახებ საქმეების 98%-ში აკმაყოფილებენ.<sup>145</sup> უნგრეთში ადვოკატები ჩივიან, რომ სასამართლო იშვიათად ან საერთოდ არ აქვევს ყურადღებას დაცვის მხარის არგუმენტებს ადვოკატის ღონისძიების შესახებ. ეს კრიტიკა გამყარებულია იმ გარემოებით, რომ გადაწყვეტილებების 92.4%-ში მოსამართლეები მიუთითებენ ბრალდების მხარის არგუმენტებზე, დაცვის მხარის არგუმენტებს კი, მოიხსენიებენ საქმეების 50%-ზე ნაკლებ შემთხვევაში.<sup>146</sup> ასეთი ქვეყნები საჭიროებენ დამატებით გარანტიებს იმის დასამტკიცებლად, რომ პროკურატურის შუამდგომლობები განი-

<sup>143</sup> ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ინსტიტუტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ლიტვაში: კვლევის ანგარიში», 2015 წ. გვ. 33, ხელმისაწვდომია: <https://www.hrmi.lt/uploaded/TYRIMAI/Pre-Trial%20Detention%20in%20Lithuania%20-%202015.pdf>.

<sup>144</sup> დედოფალი მერის იურიდიული ჟურნალი, ანტონ გალუშკო, „პოლიტიკურად მოტივირებული სამართალი ყოფილ საბჭოთა კავშირში: „ორმაგი კონსტიტუციონალიზმის“ ახლებური კონცეფცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში”, ხელმისაწვდომია: <https://www.qmul.ac.uk/law/media/law/docs/undergrad/14-Galushko.pdf>.

<sup>145</sup> „უკიდურესი ზომა, წინასწარი დაკავების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა ევროკავშირში“ (სამართლიანი სასამართლოები), 2016 წლის მაისი, გვ. 38, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/publication/measure-last-resort>.

<sup>146</sup> უნგრეთის ჰელსინგის კომიტეტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა: ალტერნატიული ადვოკატის ღონისძიებისა და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მონიტორინგი», 2015 წლის ოქტომბერი, გვ. 45, ხელმისაწვდომია: [https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/PTD\\_country\\_report\\_Hungary\\_HHC\\_2015.pdf](https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/PTD_country_report_Hungary_HHC_2015.pdf).

ხილება არსებითი განხილვის სხდომებზე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ ასეთმა ქვეყნებმა თავი აარიდონ ფორმალური და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების ქარბად მიღებას, საქმეების არაადეკვატურად მოკლე ვადებში განხილვას და მხარეთა შორის უთანასწორობის დამკვიდრებას.

### არასათანადო მოტივაციები და შუამდგომლობები

ზოგიერთ ქვეყანაში აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მუქარა არაოფიციალურად გამოიყენება ბრალდებულისგან აღიარებითი ჩვენების მიღების ან წინასწარი დასჯის მექანიზმად. მაგალითად, ლიტვაში ჩატარებული კვლევის თანახმად, ათიდან რვა აღვოკატმა განაცხადა, რომ პატიმრობა გამოიყენება თანამშრომლობაზე ბრალდებულის დათანხმების ინსტრუმენტად.<sup>147</sup> ასეთი პრაქტიკა აშკარად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. მსგავსი მეთოდების გამოყენება უნდა აღიკვეთოს და გახდეს დასჯადი.

სასამართლოები თავიანთ გადაწყვეტილებებში ძირითადად ეყრდნობიან ისეთ ფაქტორებს, რომლებიც არ მოიცავს არცერთ დასაშვებ საფუძველს – მიუხედავად საკანონმდებლო ვალდებულებისა. მაგალითად, საბერძნეთში ხშირად წინასწარი პატიმრობის შეფარდება ხდება მხოლოდ სავარაუდო დანაშაულის სიმძიმის გამო.<sup>148</sup> უნგრეთში ზოგჯერ სასამართლო პატიმრობას ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ ბრალდებულს არ გააჩნია სტაბილური შემოსავალი.<sup>149</sup> იტალიაში უსასწარო ბრალდებულებს ხშირად უფარდებენ პატიმრობას, ვინაიდან მათ შემთხვევაში შინაპატიმრობის, როგორც ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შეუძლებელია.<sup>150</sup>

<sup>147</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის ინსტიტუტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ლიტვაში: კვლევის ანგარიში», 2015, გვ. 57, ხელმისაწვდომია: <https://www.hrmi.lt/uploaded/TYRIMAI/Pre-Trial%20Detention%20in%20Lithuania%20-%202015.pdf>.

<sup>148</sup> ევროპის კონსტიტუციური სამართლის ცენტრი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა საბერძნეთში: კვლევის ანგარიში», 2015 წლის დეკემბერი, გვ. 29, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/The-Practice-of-pre-trial-detention-in-Greece.pdf>.

<sup>149</sup> უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა: ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების მონიტორინგი», 2015 წლის ოქტომბერი, გვ. 60 და სხვ. ხელმისაწვდომია: [https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/PTD\\_country\\_report\\_Hungary\\_HHC\\_2015.pdf](https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/PTD_country_report_Hungary_HHC_2015.pdf).

<sup>150</sup> ანტიგონე, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა იტალიაში: კვლევის ანგარიში», 2015

პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ინფორმაციის, ცნობიერებისა და ნდობის ნაკლებობა

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებები ხშირად გაწერილია კანონში, ისინი პრაქტიკაში არ გამოიყენება, რადგან პროკურორებს, მოსამართლეებსა და ადვოკატებს არ გააჩნიათ ინფორმაცია/ცოდნა, ვერ აცნობიერებენ ან არ ენდობიან ამ ზომებს, როგორც პატიმრობის ეფექტურ ალტერნატივას.<sup>151</sup> ალტერნატიული ღონისძიებების ეფექტურობის სრულყოფილი შესწავლის გარეშე სასამართლო მომავალშიც გააგრძელებს მათ იგნორირებას, რაც აუცილებლად გამოიწვევს პატიმრობის რაოდენობის გაზრდას.

**პატიმრობის ალტერნატიულ ღონისძიებებთან დაკავშირებით არსებული ცული პრაქტიკა**

გათავისუფლების პირობების გაუთვალისწინებლობა და თავისუფლების ფუნდამენტური უფლების დარღვევა

ადკვეთის ყველა ღონისძიება გარკვეული დოზით ზღუდავს თავისუფლების უფლებას. ზოგიერთ შემთხვევაში შეზღუდვები პატიმრობის ტოლფასია. გათავისუფლების პირობებმა, როგორცაა

---

წლის სექტემბერი, გვ. 34, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/The-practice-of-pre-trial-detention-in-Italy1.pdf>.

<sup>151</sup> „უკიდურესი ზომა, წინასწარი დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა ევროკავშირში“ (სამართლიანი სასამართლოები), 2016 წლის მაისი, გვ. 62, პარ. 53, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/publication/measure-last-resort>: „მოსამართლეებსა და პროკურორებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა ECHR-ის სტანდარტებისა და შიდა კონტექსტში მათი გამოყენების შესახებ ინფორმირებულობისა და აღქმის ნაკლებობა. ორის გარდა, ყველა გამოკითხულმა ბერძენმა მოსამართლემ განაცხადა, რომ არ ფლობდა ინფორმაციას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული სტანდარტების შესახებ, შეზღუდული დროის რესურსისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მასალებზე წვდომის ნაკლებობის გამო. გამოკითხულ ირლანდიელ მოსამართლეთაგან მხოლოდ ერთმა აღნიშნა, რომ ECHR-ის პრეცედენტული სამართალი შეესაბამება ირლანდიას გირაოს შეფარდების კონტექსტში. პოლონელმა პროკურორებმა განაცხადეს, რომ ყურადღებას არ უთმობენ პოლონეთის მიმართ ევროკომისიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს. შესწავლილ ქვეყნებში პროკურორებმა და მოსამართლეებმა მიუთითეს წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით ECHR-ის სტანდარტების შესახებ სპეციალიზებული ტრენინგების ნაკლებობას ან არარსებობაზე.

შინაპატიმრობა, კონკრეტულ დროსა და ადგილას ყოფნის ვალდებულება და ელექტრონული მეთვალყურეობა, შესაძლოა, იქონიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ბრალდებულის ცხოვრებაზე, მის ეკონომიურ კეთილდღეობასა და პირად ურთიერთობებზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გაუთვალისწინებლობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ბრალდებულისთვის არასაჭირო ან არაპროპორციული აღკვეთის ღონისძიების დაკისრება.

ინგლისსა და უელსში შინაპატიმრობისა და კონკრეტულ ადგილას და დროს გამოცხადების ვალდებულება, როგორც გათავისუფლების ერთ-ერთი პირობა საფრთხის ქვეშ დგება, თუკი არსებობს გათავისუფლებულთა ღრობითი თავშესაფრების მწვავე დეფიციტი.<sup>152</sup> სტაბილური საცხოვრებლის არმქონე პირები, ზოგადად, მიიჩნევიან მიმალვის რისკის მქონე ბრალდებულებად, რაც ხელს უწყობს წინასწარი პატიმრობის მაჩვენებლის ზრდას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ღონისძიება, შეიძლება, სულაც არ იყოს აუცილებელი ან პროპორციული.

ზოგიერთ შემთხვევაში ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება კი არ წარმოშობს უსამართლობას, არამედ მისი გამოყენების მეთოდი/მოდალურობა. მაგალითად, საბერძნეთის კანონმდებლობა ბრალდებულს ავალდებულებს, დაფაროს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების ხარჯები, როგორცაა, მაგალითად, ელექტრონული მონიტორინგი.<sup>153</sup> ეს ზღუდავს ასეთი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას მათ მიმართ, ვისაც ხარჯების დაფარვა არ შეუძლია, რაც იწვევს სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას და აღკვეთის ღონისძიებების შესახებ კანონის არათანაბარ გამოყენებას.

### გათავისუფლების პირობების ბლანკეტური გამოყენება

როგორც უკვე აღინიშნა, აღკვეთის სხვადასხვა ღონისძიება განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს ბრალდებულებზე. შესაბამისად, მთელი

<sup>152</sup> დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ინგლისსა და უელსში«, 2016 წლის თებერვალი, გვ. 89, 116, ხელმისაწვდომია: <http://eprints.uwe.ac.uk/28291/>.

<sup>153</sup> ევროპის საკონსტიტუციო სამართლის ცენტრი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა საბერძნეთში: კვლევის ანგარიში«, 2015 წლის დეკემბერი, გვ. 39, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/The-Practice-of-pre-trial-detention-in-Greece.pdf>. ელექტრონული მონიტორინგის ხელსაწყოს 6 თვის საფასური შეადგენს დაახლოებით 3000 ევრო.

რიგი ღონისძიებების ბლანკეტური შეფარდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულები თავისუფლებიან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინში, ვერ უზრუნველყოფს პირის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებას და არღვევს თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას.

ირლანდიაში *pro forma* გადაწყვეტილებები პირობითი გათავისუფლების შესახებ ყველა ბრალდებულის მიმართ მიიღება ინდივიდუალური გარემოებების დამატებითი შეფასების გარეშე. გარდა ამისა, პრაქტიკულად, არ ხდება ბრალდებულის დატოვება აღკვეთის ღონისძიების გარეშე, რაც, პრაქტიკაში, იწვევს თავისუფლების არასაჭირო და არაპროპორციულ შეზღუდვას.<sup>154</sup>

### სოციალური უსამართლობა აღკვეთის ღონისძიების სახით ფულადი გირაოს გამოყენების დროს

ფულადი გირაო ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობაში პატიმრობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ალტერნატიულ ღონისძიებას წარმოადგენს. გირაოს, როგორც გათავისუფლების ძირითადი პირობის რუტინულმა გამოყენებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეზღუდოს გაჭირვებული ბრალდებულების თავისუფლების უფლება და აიძულოს ისინი, აღიარონ დანაშაული საკუთარი უდანაშაულობის მიუხედავად.<sup>155</sup> კვლევამ აჩვენა, რომ გირაო წარმოშობს აღქმად უთანასწორობას სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ და რასობრივ ჯგუფს შორის და, საბოლოოდ, იწვევს სისხლის სამართლის სისტემისადმი ნდობის დაკარგვას.<sup>156</sup> სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ფულად გირაოზე, როგორც წინასწარი პატიმრობის მთავარ ალტერნატივაზე დაყრდნობას, შესაძლოა, შედეგად მოჰ-

<sup>154</sup> ირლანდიის სასჯელაღსრულების რეფორმის ფონდი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ირლანდიაში: კვლევითი პროექტი», 2016 წლის აპრილი, გვ. 35, 57, 73, ხელმისაწვდომია: [http://www.iprt.ie/files/PTD\\_Country\\_Report\\_Ireland\\_FINAL\\_updated.pdf](http://www.iprt.ie/files/PTD_Country_Report_Ireland_FINAL_updated.pdf).

<sup>155</sup> Stanford Law Review, Heaton et al., ‘The Downstream Consequences of Misdemeanor Pretrial Detention’, March 2017.

<sup>156</sup> Crime and Justice Institute, Holsinger, A. *Analyzing Bond Supervision Survey Data: The Effects of Pretrial Detention on Self-Reported Outcomes.* (2016).. Bushway, S. & Gelbach, J. Testing for Racial Discrimination in Bail Setting Using Nonparametric Estimation of a Parametric Model. (2011); Jones, Cynthia. “Give Us Free”: Addressing Racial Disparities in Bail Determinations. (2014). Available at <http://www.nyujlpp.org/wp-content/uploads/2014/01/Jones-Give-Us-Free-16nyujlpp919.pdf>.

ყვეს თავისუფლების უფლების დარღვევა. შესაბამისად, ფულადი გირაო იშვიათად გამოიყენება ევროპულ იურისდიქციებში და უკვე მიმდინარეობს მისი ამოღება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, განსაკუთრებით, ნიუ-ჯერსიში, ალიასკასა და კალიფორნიაში.<sup>157</sup>

## ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა

### შესავალი

მართალია, არცერთი ქვეყანა არ გამოირჩევა სრულყოფილებით აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების კუთხით, თუმცა, გარკვეული საუკეთესო მაგალითები და ეფექტური გადაწყვეტილებები გვხვდება სხვადასხვა ქვეყნის კანონებსა და პრაქტიკაში. ინგლისსა და უელსში ფიქსირდება პატიმრობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი და უპირობო, სრული გათავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (პროკურორები აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვენ საქმეების თითქმის 50%-ში).<sup>158</sup> „საერთაშორისო სამართლიანი სასამართლოების“ კოორდინირებით ჩატარებული კვლევისა და ანალიზის თანახმად, ზემოაღნიშნული განპირობებულია, ძირითადად, მოსამართლეთა მხრიდან საკანონმდებლო ნორმების მკაცრი დაცვით, ასევე, პატიმრობის საპირწონედ არსებული ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრით და მათი გამოყენებისთვის სასამართლოს ფართო დისკრეციით.<sup>159</sup>

<sup>157</sup> ACLU New Jersey, 'Pretrial Justice Reform', <https://www.aclu-nj.org/theissues/criminaljustice/pretrial-justice-reform>; VOX, 'Bail reform, which could save millions of unconvicted people from jail, explained', 17 Oct. 2018, available at: <https://www.vox.com/future-perfect/2018/10/17/17955306/bail-reform-criminal-justice-inequality>; The Marshall Project, 'Bail Reform', 6 June 2019, available at: <https://www.themarshallproject.org/records/1439-bail-reform>.

<sup>158</sup> დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ინგლისსა და უელსში: კვლევის ანგარიში“, 2016 წლის თებერვალი, მუხლი 4.2; ხელმისაწვდომია: <http://eprints.uwe.ac.uk/28291/>.

<sup>159</sup> „უკიდურესი ზომა, წინასწარი დაკავების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა ევროკავშირში“ (სამართლიანი სასამართლოები), 2016 წლის მაისი. გვ.72, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/publication/measure-last-resort>.

## პატიმრობის გამოყენების შეზღუდვები

სასამართლოს უფლების შეზღუდვა პატიმრობის შეფარდებაზე ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთი ღონისძიება არ არის საკმარისად გამართლებული, წარმოადგენს პატიმრობაზე დამოკიდებულების შემცირების და საერთაშორისო სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფის ეფექტურ საშუალებას. საკანონმდებლო ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ პროაქტიული მიდგომა ამ მიმართულებით და უარი თქვან ან შეზღუდონ პატიმრობის გამოყენება ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, რომლებზეც გათვალისწინებულია მოკლევადიანი ან არასაპატიმრო სასჯელი.

ინგლისსა და უელსში პატიმრობის შეფარდება არ შეიძლება სისხლის სამართლის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე (ე.წ. „სუმარული წარმოება“), თუკი ბრალდებული არ შეეცდება მიმალვას, არ აქვს ჩადენილი დანაშაული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ, ან არ წარმოადგენს საფრთხეს სხვა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ანალოგიურად, წინასწარი პატიმრობის შეფარდება უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება, თუ არ არსებობს თავისუფლების აღკვეთის განაჩენის დადგომის რეალური შანსი.<sup>160</sup> იტალიაში წინასწარი პატიმრობა არ გამოიყენება იმ ბრალდებულების შემთხვევაში, რომელთა მიმართ წაყენებული ბრალი ითვალისწინებს ხუთ წლამდე ან ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთას (პოლიტიკური პარტიების უკანონო დაფინანსების ბრალდებისა და შინაპატიმრობის პირობების დარღვევის გარდა).<sup>161</sup>

## კანონით განსაზღვრული სრული გათავისუფლების უფლება

თავისუფლების უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს უპირობო, სრული გათავისუფლების ზოგად უფლებას. ამ უფლების უზრუნველსაყოფად, აღკვეთის ღონისძიების გარეშე პირის დატოვება უნდა იყოს თავდაპირველი ამოცანა ყველა ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დროს (გა-

<sup>160</sup> ეროვნული არქივები, „1976 წლის გირაოს კანონი“ დანართი 1, მუხლი 1, 1A და 2; <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1976/63/schedule/1>.

<sup>161</sup> ანტიგონე, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა იტალიაში: კვლევის ანგარიში“, 2015 წლის სექტემბერი, გვ. 34, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/The-practice-of-pre-trial-detention-in-Italy1.pdf>.

რდა უკვე პატიმრობაში მყოფი ან პირობითი სასჯელის დამრღვევი პირებისა). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრალის წარდგენის ან პირველი სხდომის შემდეგ ყველა ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს უპირობოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარკვეული პირობების დაწესება მათ გათავისუფლებაზე აუცილებელი და პროპორციულია (ან დატოვონ ისინი პატიმრობაში) ერთ ან მეტ დასაშვებ საფუძველზე დაყრდნობით.

აღნიშნული საწყისი პოზიცია უნდა იყოს მითითებული აღკვეთის ღონისძიების შესახებ კანონში, სადაც ნებისმიერი გათავისუფლების პირობა ან წინასწარი პატიმრობა უნდა განიმარტოს როგორც „უპირობო გათავისუფლების უფლების გამონაკლისი“. ამგვარი ფორმულირება აძლევს პროკურატურას და სასამართლოს მკაფიო მითითებებს, რომ ყველა აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს უკიდურეს ზომას, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აუცილებელი და კონკრეტული გარემოებების პროპორციულია. ასევე, მითითებული უნდა იყოს, რომ აღკვეთის ღონისძიების აუცილებლობისა და პროპორციულობის მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს.

აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებული ბრალდებული არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, გამოცხადდეს სასამართლოში გამოძახებისთანავე. გათავისუფლებული ბრალდებული, რომელიც არ გამოცხადდება სასამართლოში, შესაძლოა, დაექვემდებაროს დამატებით პასუხისმგებლობას, ასევე, შესაძლოა, გადაიხედოს მისი აღკვეთის ღონისძიება. ანალოგიურად, თუკი ბრალდებული ჩაიდენს დანაშაულს ან ხელს შეუშლის მიმდინარე სამართალწარმოებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, სახელმწიფოს შეუძლია, მოითხოვოს დამატებითი აღკვეთის ღონისძიების დაკისრება.

კანონით დადგენილი სრული გათავისუფლების უფლების გამოყენების საუკეთესო მაგალითია ინგლისისა და უელსის 1976 წლის „აღკვეთის ღონისძიების შესახებ აქტი“ (Bail Act).<sup>162</sup> მე-4 მუხლის თანახმად, ბრალდებული, რომელიც წარდგება სასამართლოს წინაშე, უნდა გათავისუფლდეს სრულად და უპირობოდ. აღკვეთის ღონისძიების შესახებ აქტში გათვალისწინებული გამონაკლისები ასახავს ზემოთ ნახსენებ საერთაშორისო სტანდარტებში მოცემულ დასა-

<sup>162</sup> ეროვნული არქივები, „1976 წლის გირაოს კანონი“ მუხლი 4, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1976/63/section/4>.



შვებ საფუძვლებს.<sup>163</sup> ინგლისსა და უელსში სასამართლო უპირობო გათავისუფლების შესახებ დაყენებულ შუამდგომლობებს აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საქმეების, დაახლოებით, ნახევარში.<sup>164</sup> სასამართლოში გამოუცხადებლობა, უწყების შესაბამისად, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთი წლის ვადით.<sup>165</sup> სასამართლოში გამოუცხადებლობა ავტომატურად აძლევს სახელმწიფოს უფლებას, მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიებების შეფარდება.

### **პირობითი გათავისუფლება**

იმ შემთხვევაში, თუკი უპირობო გათავისუფლება წარმოადგენს არასაკმარის საშუალებას საზოგადოებრივი წესრიგის და სამართლიანობის დასაცავად ან ბრალდებულის მიმალვის აღსაკვეთად, მომდევნო ნაბიჯი უნდა იყოს პირობითი გათავისუფლების მიზანშეწონილობის განხილვა. ყველა პირობა უნდა იყოს განხილული, როგორც ბრალდებულის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ღონისძიება. შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ შეფარდებული ნებისმიერი ზომა უნდა იყოს როგორც აუცილებელი, ისევე პროპორციული, რათა აღმოიფხვრას ის რისკები, რომლებიც, შესაძლოა, წარმოიშვას სრული გათავისუფლების შემთხვევაში.

### **ზედამხედველობა**

არასაპატიმრო ზედამხედველობის გარკვეული ფორმები წარმოადგენს პირობითი გათავისუფლების საბაზისო პირობას და ათვლის წერტილს. არსებობს არასაპატიმრო მეთვალყურეობის სხვადასხვა ფორმა, რომელიც, შეიძლება, შეირჩეს კონკრეტული საქმის საჭიროებების შესაბამისად. ტიპური მეთვალყურეობის პირობა გულისხმობს ბრალდებულის რეგულარულ გამოცხადებას ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში ან მაგისტრატი მოსამართლის

<sup>163</sup> იხ. ეროვნული არქივები, „1976 წლის გირაოს კანონის დანართი 1“, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1976/63/schedule/1>.

<sup>164</sup> დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ინგლისსა და უელსში: კვლევის ანგარიში», 2016 წლის თებერვალი, მუხლი 4.2, ხელმისაწვდომია: <http://eprints.uwe.ac.uk/28291/>.

<sup>165</sup> National Archives, 'Bail Act 1976: Section 6', available at: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1976/63/section/6>.

წინაშე. ამ ღონისძიების ძირითადი მიზანია ბრალდებულსა და გამოძიებას შორის რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველყოფა და იმის გარანტირება, რომ ბრალდებული არ დატოვებს ქვეყნის ფარგლებს. პოლიციაში გამოცხადების ინტერვალი უნდა შეესაბამებოდეს გონივრულ მიზნებს და არ უნდა იყოს მძიმე, რათა თავიდან იყოს აცილებული ბრალდებულის მიმართ არაპროპორციული ტვირთის დაკისრება (მაგალითად, ბრალდებული უნდა გამოცხადდეს პოლიციის იმ განყოფილებაში, რომელიც მდებარეობს მის საცხოვრებელთან ახლოს და ისეთი სიხშირით, რაც უზრუნველყოფს მის ყოფნას ადგილზე სამართალწარმოების განმავლობაში).

### აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი

აღკვეთის ღონისძიებების შესახებ კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრობის საპირწონე ალტერნატიული გათავისუფლების ღონისძიებების ფართო სპექტრს, რათა მოსამართლეებს ჰქონდეთ კანონიერი მექანიზმები, გადაწყვეტილებები გამოიტანონ კონკრეტული ბრალდებულისა და სავარაუდო დანაშაულის გარემოებებზე დაყრდნობით. რაც უფრო ფართოა აღკვეთის ღონისძიებების დიაპაზონი, მით უფრო მაღალია პირობითი გათავისუფლების ალბათობა.

ინგლისსა და უელსში მოსამართლეები უფლებამოსილი არიან, შეუფარდონ შემდეგი აღკვეთის ღონისძიებები, როგორც დამოუკიდებლად ისე კუმულაციურად:

- ბრალდებული ვალდებულია, აცნობოს კომპეტენტურ ორგანოს საცხოვრებელი ადგილის ნებისმიერი ცვლილების შესახებ;
- ბრალდებულს ეკრძალება გარკვეულ ადგილებში ან განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესვლა და დარჩენა;
- ბრალდებულს მოეთხოვება, გამოცხადდეს კონკრეტულ ადგილას კონკრეტული დროის განმავლობაში;
- ბრალდებულს ეკრძალება გაერთიანებული სამეფოს საზღვრების დატოვება;
- ბრალდებული ვალდებულია, გამოცხადდეს კონკრეტულ ორგანოში განსაზღვრულ ვადაში;
- ბრალდებულს ეკრძალება სავარაუდო დანაშაულთან შემხებლობაში მყოფ კონკრეტულ პირებთან კომუნიკაცია;

- ბრალდებულს ეკრძალება სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებულ კონკრეტულ საქმიანობაში ჩართვა, მათ შორის, კონკრეტული სამუშაოს შესრულება ან დასაქმება;
- ბრალდებულს ეკრძალება ავტომობილის მართვა;
- ბრალდებული ვალდებულია, წარმოადგინოს სასამართლოში გარანტი ან თავდები;
- ბრალდებული ვალდებულია, გაიაროს თერაპიული ან დამოკიდებულების სამკურნალო კურსი;
- ბრალდებული ვალდებულია, თავი აარიდოს სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებულ ობიექტებთან კონტაქტს;
- ბრალდებული ვალდებულია, ატაროს ელექტრონული სამაჯური;
- ბრალდებული ვალდებულია, ჩააბაროს სამგზავრო დოკუმენტაცია და არ გააკეთოს განაცხადი საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტების მისაღებად.

*პრაქტიკული და ეკონომიური ალტერნატიული ღონისძიებები*

ეროვნულ იურისდიქციებში უნდა იყოს ისეთი ალტერნატიული ადკვეთის ღონისძიებები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება თავისუფლების პრინციპის თანაბარი დაცვა ყველა პირის შემთხვევაში და, რომელიც შეამცირებს წინასწარი პატიმრობის საჭიროებას სოციალურ-ეკონომიკური ბარიერების მიუხედავად. კანონმდებლებმა უნდა შეუკვეთონ კვლევა ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, რომელშიც მაქსიმალური ყურადღება დაეთმობა ბრალდებულის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვას. კანონმდებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს ადკვეთის ღონისძიების ხარჯთეფექტურობა, ვინაიდან არაერთი ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემა უმკაცრესი ეკონომიკური წნეხის ქვეშ იმყოფება.

ირლანდიაში მოსამართლეებს შეუძლიათ, ბრალდებულებს შეუფარდონ „მობილური ტელეფონის ტარების ვალდებულება“, რაც გულისხმობს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბრალდებულის მხრიდან სრულად დამუხტული მობილური ტელეფონის ტარების და ნებისმიერ დროს ტელეფონზე პასუხის ვალდებულებას. ეს ღონისძიება ეფექტურია იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულს არ

გააჩნია რეგულარული საცხოვრებელი ადგილი.<sup>166</sup>

### სასამართლოს ფართო დისკრეცია

მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ ფართო დისკრეცია, რათა ბრალდებულს დააკისრონ პირობა ან პირობების კომბინაცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კონკრეტული საქმის რისკები და სპეციფიკური გარემოებები. რაც უფრო ფართოა სასამართლოს დისკრეცია, მით უფრო ხშირად იღებენ მოსამართლეები ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებს აღკვეთების იძულებით ხასიათს და იყენებენ მკაცრად აუცილებელ და პროპორციულ ღონისძიებებს. ბოლო ხანებში იტალიაში განხორციელებულმა საკანონმდებლო რეფორმებმა გააფართოვა სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება, რაც სასამართლოს საშუალებას აძლევს, კუმულაციურად გამოიყენოს გათავისუფლების პირობები.<sup>167</sup> ინგლისსა და უელსში აღკვეთის ღონისძიების შესახებ 1976 წლის აქტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი მოსამართლეს ანიჭებს ფართო დისკრეციას, შეარჩიოს ბრალდებულის მიმართ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიება საქმის გარემოებებზე დაყრდნობით (გარდა ელექტრონული მონიტორინგის შემთხვევებისა - იხილეთ ქვემოთ).<sup>168</sup>

### აღკვეთის ღონისძიებების იერარქია

კანონმდებლობა, სამართალწარმოება და ავტორიტეტული სახელმძღვანელო პრინციპები უნდა აწოდებდეს მოსამართლეებს აღკვეთის ღონისძიებების სტრუქტურის იერარქიას მათი იძულებითი ხასიათისა და ბრალდებულის თავისუფლებაზე ზემოქმედების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი აღკვეთის ღონისძიება მოიცავს იძულების განსხვავებულ ხარისხს სხვადასხვა ბრალდე-

<sup>166</sup> ირლანდიის სასჯელადსრულების რეფორმის ფონდი, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა ირლანდიაში: კვლევითი პროექტი», 2016 წლის აპრილი, გვ. 35, ხელმისაწვდომია: [http://www.iprt.ie/files/PTD\\_Country\\_Report\\_Ireland\\_FINAL\\_updated.pdf](http://www.iprt.ie/files/PTD_Country_Report_Ireland_FINAL_updated.pdf).

<sup>167</sup> ანტიგონე, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა იტალიაში: კვლევის ანგარიში», 2015 წლის სექტემბერი, გვ. 16, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/The-practice-of-pre-trial-detention-in-Italy1.pdf>.

<sup>168</sup> „გირაოთი გათავისუფლებამდე ან შემდგომში, მას შესაძლოა, დაეკისროს ისეთი მოთხოვნების შესრულება, როგორცაა სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება საჭიროებისამებრ [...]“; ეროვნული არქივები, „1976 წლის გირაოს კანონი“, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1976/63/section/3>.

ბულის მიმართ (მაგალითად: კომენდანტის საათი ღამის საათებში სერიოზული შეზღუდვაა ღამის ცვლაში მომუშავე ბრალდებულისათვის, ვიდრე მათთვის, ვინც დღის საათებშია დაკავებული), აუცილებელია გარკვეული ზოგადი მითითებების შემუშავება აღკვეთის ღონისძიებების ზეგავლენის შესახებ.

ინგლისსა და უელსში 1976 წლის აღკვეთის ღონისძიების შესახებ აქტის 3AB მუხლის თანახმად, ელექტრონული მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ მონიტორინგის შეფარდების გარდა, ბრალდებულის გათავისუფლება პატიმრობიდან ვერ მოხერხდება.<sup>169</sup> ეს დათქმა მკაფიოდ ავალდებულებს მოსამართლეს, განიხილოს, შესაძლებელია თუ არა ელექტრონული მონიტორინგის გარდა სხვა აღკვეთის ღონისძიების მეშვეობით პროკურატურის მიერ მითითებული რისკების შემცირება.

### რისკების დამოუკიდებელი შეფასება

გათავისუფლების პირობების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ უნდა შეაფასოს ბრალდებულის გათავისუფლების რისკები და მასზე გათავისუფლების პირობების ზემოქმედება. ამისთვის, მოსამართლეები, როგორც წესი, ეყრდნობიან აღკვეთის ღონისძიების განმხილველ სასამართლო პროცესებზე პროკურატურისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მასალებს. თუმცა, მცირე ვადები, არასაკმარისი რესურსები და ინფორმაციის არასრული გამოყვანება ნეგატიურად აისახება ამგვარი სხდომების დროს წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხსა და სისრულეზე. ერთ-ერთი გამოსავალია მიუკერძოებელი ორგანოს მიერ რისკების დამოუკიდებელი შეფასების მომზადება, რომელიც მხარეთა შუამდგომლობებთან ერთად გადაეცემა სასამართლოს. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს რისკების შეფასების გაცნობისა და გასაჩივრების უფლება.

ამგვარი შეფასება რეგულარულად ტარდება ინგლისსა და უელსში (პრობაციის სამსახურის მიერ)<sup>170</sup> და საფრანგეთში (APCARS-ის მიე-

---

<sup>169</sup> ეროვნული არქივები, „1976 წლის გირაოს კანონი“, მუხლი 3AB, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1976/63/section/3AB>.

<sup>170</sup> CPS, „წინასასამართლო ანგარიში სასჯელის განსაზღვრამდე», 2007 წლის ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.cps.gov.uk/legal-guidance/pre-sentence-reports>.

რ)<sup>171</sup> სასჯელის განსაზღვრის დროს (მაგრამ არა - წინასწარი პატიმრობის განმხილველი პროცესის წინ). 2018 წელს კალიფორნიამ დაამტკიცა ახალი წინასასამართლო რისკების შეფასების პროცედურა მძიმე დანაშაულების კატეგორიისთვის.<sup>172</sup> თუმცა, გამოითქვა სერიოზული ეჭვები იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ალგორითმზე დაფუძნებული რისკების შეფასების ინსტრუმენტები ამ პროცესში.<sup>173</sup> კრიტიკულად განწყობილნი მიუთითებენ ალგორითმის ტირაჟირებისა და რასობრივი სტერეოტიპების გაღრმავების რისკებზე.<sup>174</sup> რისკების შეფასების პროცედურამ უნდა უზრუნველყოს ბალანსის დაცვა გადაუდებლობასა და სამართლიანი, ინდივიდუალური მიდგომების საჭიროებას შორის.

### **სრულად დასაბუთებული გადაწყვეტილება**

ეროვნული კანონმდებლობა უნდა იყოს იმის გარანტი, რომ აღკვეთის ღონისძიების შესახებ მიღებული ყველა გადაწყვეტილება სათანადოდ დასაბუთდეს. გადაწყვეტილება არ უნდა იყოს „ფორმალური“, არამედ უნდა ჩანდეს, რომ მოსამართლე ითვალისწინებს კონკრეტული საქმის და ბრალდებულის პირად გარემოებებს. როგორც მინიმუმ, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მიზეზებს, თუ რატომ არის უპირობო გათავისუფლება მიზანშეწონილი კონკრეტულ შემთხვევაში და, ასევე - აღკვეთის ღონისძიებ(ებ)ის შეფარდების აუცილებლობის და პროპორციულობის შეფასებას. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს უფლება, გაასაჩივროს აღკვეთის ღონისძიების შესახებ მიღებული არასათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება, თუკი იგი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტი-

<sup>171</sup> Association de Politique Criminelle Appliquée et de Réinsertion Sociale, ხელმისაწვდომია: <http://www.apcars.fr>.

<sup>172</sup> კალიფორნიის სასამართლოები, „SB 10: გათავისუფლება და დაკავება სასამართლო სხდომამდე», ხელმისაწვდომია: <https://www.courts.ca.gov/pretrial.htm>.

<sup>173</sup> ელექტრონული საზღვრების ფონდი, „EFF მოუწოდებს კალიფორნიას, დააწესოს გონივრული შეზღუდვები წინასასამართლო რისკების შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებაზე», 2018 წლის დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.eff.org/deeplinks/2018/12/eff-urges-california-place-meaningful-restrictions-use-pretrial-risk-assessment>.

<sup>174</sup> გაზეთი „გარდიანი“, „ალგორითმებით დაპატიმრებულნი: კალიფორნიის ბნელი მხარე ფულადი გირათი დასრულდა», 2018 წლის სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.theguardian.com/us-news/2018/sep/07/imprisoned-by-algorithms-the-dark-side-of-california-ending-cash-bail>.

ლებაში არ არის მითითებული საკმარისი არგუმენტები. იტალიამ ცოტა ხნის წინ ცვლილება შეიტანა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონში და მოსამართლეს დააკისრა მკაცრი ვალდებულება, დაასახელოს მიღებული გადაწყვეტილების კონკრეტული მიზეზები პროკურატურისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების მითითებით.<sup>175</sup>

### **სახელმძღვანელო პრინციპები და სავალდებულო გადამზადება**

მოსამართლეები და პროკურორები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ იმპერატიული სახელმძღვანელო პრინციპებით, რათა ადკვეთის ღონისძიების შესახებ სასამართლო განხილვები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარიმართოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამგვარი სახელმძღვანელო მითითებები უნდა იყოს მკაფიო და დეტალური, რათა გარანტირებული იყოს ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ერთგვაროვანი გამოყენება მთელს ქვეყანაში. სახელმძღვანელო მითითებები უნდა მოიცავდეს მოსაზრებების სწორ თანმიმდევრობას, მნიშვნელოვან პრინციპებსა და ძირითადი ფაქტორების შეხსენებას. სახელმძღვანელო პრინციპები ასევე უნდა იყოს გამყარებული საკვანძო საკითხების შესახებ რეგულარული და სავალდებულო ტრენინგებით, ახალი კანონმდებლობით, ეროვნული და საერთაშორისო სამართლით და, ასევე, ტექნოლოგიური ინოვაციებით, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე. სახელმძღვანელო პრინციპების იმპერატიულობისა (საჭიროა ნებისმიერი გადახვევის აუცილებლობის დამტკიცება) და სავალდებულო ტრენინგების პარალელურად, მოსამართლეებს და პროკურორებს უნდა შეეძლოთ ამგვარი პრინციპებიდან გადახვევა, თუკი ეს აუცილებელია კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

ინგლისსა და უელსში პროკურორებზე ვრცელდება სახელმწიფო ბრალმდებლის კანონი, რომელიც პროკურორებს აძლევს დეტალურ სახელმძღვანელო მითითებებს არსებითი და პროცედურული

---

<sup>175</sup> ანტიგონე, „წინასწარი დაკავების პრაქტიკა იტალიაში: კვლევის ანგარიში», 2015 წლის სექტემბერი, გვ. 32, ხელმისაწვდომია: <https://www.fairtrials.org/wp-content/uploads/The-practice-of-pre-trial-detention-in-Italy1.pdf>:

საკითხების შესახებ.<sup>176</sup> ადვოკატი და მოსამართლე ინგლისსა და უელსში ვალდებული არიან, გაიარონ სავალდებულო უწყვეტი გადამზადების კურსი.<sup>177</sup>

### **მონაცემების რეგულარული შეგროვება და ანალიზი**

იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული იყოს კონკრეტული მიზნის მისაღწევად, სახელისუფლებო ორგანოებმა და სამართლიანობის დამოუკიდებელმა დამცველებმა („ვოჩლოგი“) უნდა აწარმოონ აღკვეთის ღონისძიებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი ზემოქმედების შესახებ მონაცემთა შეგროვება/ანალიზი. შესაბამისი მონაცემები საშუალებას მისცემს საკანონმდებლო ორგანოებს, ასახონ საერთაშორისო სტანდარტები ისეთ პროცედურებსა და ღონისძიებებში, რომლებიც შეესაბამება კონკრეტული ქვეყნის კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტს. მონაცემთა სათანადო შეგროვების მთავარი მამოძრავებელი უნდა იყოს კანონი, რომელიც დაავალდებულებს მოსამართლეს, აწარმოოს აღკვეთის ღონისძიებების შესახებ მიღებული ყველა გადაწყვეტილების წერილობითი აღრიცხვა.<sup>178</sup>

### **მეჯამება**

საერთაშორისო სტანდარტები ავალდებულებს სასამართლოს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია და თავისუფლების ფუნდამენტური უფლება გახდეს აღკვეთის ღონისძიების განმხილველი სასამართლო მოსმენის მთავარი ქვაკუთხედი. ამ მიზნით, აღკვეთის

<sup>176</sup> CPS სახელმძღვანელო აღკვეთის ღონისძიების შესახებ, ინტერნეტში ხელმისაწვდომია: CPS, 'Prosecution guidance: Bail'. <https://www.cps.gov.uk/prosecution-guidance/bail>.

<sup>177</sup> E.g. see continuing education prospectus for salaried judges in England and Wales: Judicial College, 'Prospectus: April 2018 – March 2019', available at: <https://www.judiciary.uk/wp-content/uploads/2017/12/judicial-college-prospectus-courts-2018-2019.pdf>

<sup>178</sup> ირლანდიელი კანონმდებლების წინამე წარდგენილი გირაოს კანონპროექტის ზოგადი ჩარჩოს თანახმად, ყველა ბრალდებულს აქვს უფლება, მიიღოს აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების წერილობითი ოქმი: ირლანდიის სასჯელადსრულების რეფორმის ფონდი», წინასწარი დაკავების პრაქტიკა ირლანდიაში: კვლევითი პროექტი», 2016 წლის აპრილი, გვ.66, ხელმისაწვდომია: [http://www.iprt.ie/files/PTD\\_Country\\_Report\\_Ireland\\_FINAL\\_updated.pdf](http://www.iprt.ie/files/PTD_Country_Report_Ireland_FINAL_updated.pdf).



ღონისძიების შეფარდება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ კანონში მკაფიოდ განსაზღვრული დასაშვები საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. პატიმრობა ყოველთვის უნდა განიხილებოდეს უკიდურეს ზომად და, ამ თვალსაზრისით, მოსამართლეს უნდა მიენიჭოს ფართო დისკრეცია, რათა განიხილოს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი. აღკვეთის ღონისძიების გარეშე პირის დატოვება უნდა იყოს ყველა სასამართლო პროცესის ამოსავალი წერტილი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამტკიცდება, რომ გათავისუფლება არ არის საკმარისი ბრალდების მხარის მიერ ილენტიფიცირებული რისკების აღმოსაფხვრელად, სხვა აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული. ყველა აღკვეთის ღონისძიება უნდა დაექვემდებაროს აუცილებლობისა და პროპორციულობის ტესტს, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მხოლოდ სათანადო ფაქტები და არგუმენტები. წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს ქმედითი, სამართლიანი და ეკონომიური, არ უნდა ახდენდეს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ან რასობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა დისკრიმინაციას.

აღნიშნული სტანდარტების უფექტიანი განხორციელება მოითხოვს კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლოების მხრიდან სწრაფი, სამართლიანი და სრულად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს სათანადო სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობა, დაცული უნდა იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპი. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ავტომატური უფლება, მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების პერიოდული გადასინჯვა სამართლიანი და კომპეტენტური მოსამართლეების მიერ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა აღმოიფხვრას პროკურატურისადმი მიკერძოების კულტურა. პროკურორებსა და მოსამართლეებს უნდა მიეცეთ სახელმძღვანელო იმპერატიული მითითებები და განესაზღვროთ უწყვეტი გადამზადების პროცესში მონაწილეობის ვალდებულება, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აუცილებელია მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მკაცრი მოთხოვნა, რათა მოხდეს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების მიმართ მოსამართლეების, ადვოკატებისა და პროკურორების აღქმისა და ნდობის გაძლიერება/გაუმჯობესება, ასევე, ამ მხრივ მათი ინფორმირება პოლიტიკისა და საკანონმდებლო რეფორმების შესახებ.

### III. ალკვეთის ღონისძიების სახეების გაფართოების კონცეფცია

#### შესავალი

საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ალკვეთის ღონისძიების დღეს მოქმედი სახეებიდან მხარეებისა და სასამართლოს მიერ მხოლოდ პატიმრობა და გირაო აღიქმება ქმედით ღონისძიებად. ფაქტობრივად, ნულს უტოლდება ალკვეთის ღონისძიების სხვა სახეების გამოყენების მაჩვენებელი. ასევე, იშვიათია შემთხვევები, როდესაც სასამართლო პირს ალკვეთის ღონისძიების გარეშე ტოვებს. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული განპირობებულია როგორც ქმედითი ალტერნატიული ღონისძიებების სიმწირით, ისე ალტერნატიული ღონისძიებების მიმართ სასამართლოსა და მხარეების უნდობლობით. ამ თავში მოცემულია საიას მიერ შემუშავებული ალკვეთის ღონისძიებების სახეების ალტერნატიული ვარიანტები, რომლებიც ეყრდნობა საერთაშორისო აქტებით დადგენილ სტანდარტებს, ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას და კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებსა და გამოკითხვებს.

#### შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

საერთაშორისო სტანდარტების და შიდა კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე, ალკვეთის ღონისძიების მიზანია არა პირის დასჯა, არამედ კანონისმიერი მიზნების მიღწევა, კერძოდ, შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა და სხვა. შესაბამისად, სასამართლო უნდა ცდილობდეს, გამოიყენოს ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიება, რომელიც მინიმალურად ზღუდავს პირის უფლებებს და, იმავედროულად, აღწევს ზემოთ მოცემულ მიზანს. არ შეიძლება, ალკვეთის ღონისძიების სახე დამოკიდებული იყოს სასჯელსა თუ დანაშაულის კატეგორიაზე. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ფართო დისკრეცია, თავად განსაზღვროს, თუ რომელი ალკვეთის ღონისძიების სახე შეესაბამება ყველაზე მეტად ალკვეთის ღონისძიების მიზნებს. აქედან გამომდინარე, დათქმა, რომელიც მოქმედებს გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით, უნდა მოიხსნას და გავრცელდეს არა მარტო იმ დანაშაულებზე, რომლებიც სასჯელის სახედ ითვალისწინებს 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, არამედ ყველა კატეგორიის დანაშაულზე.

## გირაო

პატიმრობის რეალურ ალტერნატივად აღკვეთის ღონისძიების სახით მხოლოდ გირაოს არსებობა წარმოშობს სოციალურ უთანასწორობას, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია საქართველოზე, სადაც ძალიან ბევრი მოქალაქე იღებს სოციალურ შემწევობას.<sup>179</sup> ასეთ დროს იქმნება რისკი, რომ არაპროპორციული და შეუსაბამო გირაოს თანხის დაკისრებისას (*შესაძლოა, კანონით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობა, 1000 ლარი, კონკრეტულ შემთხვევაში აღმოჩნდეს შეუსაბამოდ მაღალი*), ბრალდებულს, გადაუხდელობის გამო, გირაო უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით, კერძოდ, პატიმრობით შეეცვალოს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, კანონში არსებული დათქმა, რომელიც გირაოს მინიმალურ ოდენობად 1000 ლარს ითვალისწინებს, ამოღებული იყოს და სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა, ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, თავად განსაზღვროს შესაბამისი და პროპორციული გირაოს თანხის ოდენობა.

რაც შეეხება გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით, არსებული კანონმდებლობა და სასამართლოს მიერ დანერგილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, გირაოს გამოყენების შემთხვევაში სავალდებულოა დაკავებული პირის მიმართ პატიმრობის უზრუნველყოფა, არამართლზომიერად ზღუდავს თავად სასამართლოს. მნიშვნელოვანია, კანონმდებლობაში მკაფიოდ გაიწეროს სასამართლოს უფლებამოსილება, თავად გადაწყვიტოს, გამოიყენოს გირაო თუ გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

## შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე

დღეს არსებული კანონმდებლობით, შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის დამატებითი ღონისძიება, გამოიყენება ძირითად ღონისძიებასთან ერთად და კონტროლდება ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით. საია მიიჩნევს, რომ საჭიროა შინაპატიმრობის ჩამოყალიბება აღკვეთის ძირითადი ღონისძიების სახედ და არა-

<sup>179</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წელს საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 450423-ს. [http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database\\_\\_Social%20Statistics\\_\\_Social%20Protection/Beneficiaries\\_of\\_Subistence\\_Allowance.px/table/tableViewLayout2/?rxid=85999b07-769f-4cac-ae81-594234635249](http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database__Social%20Statistics__Social%20Protection/Beneficiaries_of_Subistence_Allowance.px/table/tableViewLayout2/?rxid=85999b07-769f-4cac-ae81-594234635249).

მართლწომიერად მიიჩნევს მის დატოვებას ალკვეთის დამატებით ღონისძიებად.

შინაპატიმრობა, ანუ დღე-ღამის განმავლობაში ან გარკვეულ საათებში ბრალდებულისთვის საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვა, რაც, შესაძლოა, კონტროლდებოდეს ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით, წარმოადგენს მკაცრი ალკვეთის ღონისძიების სახეს. შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია, განიხილოს, ელექტრონული მონიტორინგის გარდა, შესაძლებელია თუ არა სხვა ალკვეთის ღონისძიების მეშვეობით პროკურატურის მიერ მითითებული რისკების შემცირება. პატიმრობის შემდეგ, შინაპატიმრობა ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით წარმოადგენს პირის თავისუფლად გადაადგილების უფლებაში ყველაზე უხემ ჩარევას და არ შეიძლება, ის იყოს დამატებითი ალკვეთის ღონისძიება. არამედ, აუცილებელია, რომ შინაპატიმრობა გაიწეროს, როგორც ძირითადი ალკვეთის ღონისძიების სახე.

### **რეფორმის შემდგომი ეტაპები**

საია ითვალისწინებს რა ინტერვიუების შედეგებს, ასევე, საქართველოში არსებულ ვითარებას, მიიჩნევს, რომ პირველ ეტაპზე კომპლექსურად უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული ცვლილებები, რის შემდგომაც, პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს მოსამართლის როლი. რეფორმის შემდგომი ეტაპი შესაძლოა გახდეს დამატებითი ალკვეთის ღონისძიებების გამოყენება ძირითადი ალკვეთის ღონისძიების სახეებად.

დღეს ქართული კანონმდებლობით არსებობს ძირითადი და დამატებითი ალკვეთის ღონისძიებები. დამატებითი ალკვეთის ღონისძიებები დამოუკიდებლად არ გამოიყენება - მათი შეფარდება მხოლოდ ძირითად ღონისძიებებთან ერთად არის შესაძლებელი. საია მიიჩნევს, რომ საჭიროა, მოსამართლეს ჰქონდეს საშუალება, თავად განსაზღვროს ალკვეთის ღონისძიების სახე, რომლითაც შესაბამისი მიზნები მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციას მართებულად მიაჩნია, რომ დღეს არსებული ე.წ. „დამატებითი“ ალკვეთის ღონისძიების სახეების გამოყენება შესაძლებელი იყოს ძირითად სახეებად და მოსამართლემ ყოველ კონკრეტულ საქმეში თავად გადაწყვიტოს, გამოიყენოს ერთი რომელიმე ღონისძიება თუ რამდენიმე - კუმულაციურად.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც მსჯელობა უნდა დაიწყოს, არის დამოუკიდებელი ინსტიტუციის შექმნა, რომლის ამოცანაც იქნება სასამართლოსთვის დახმარების გაწევა. დამოუკიდებელ ინსტიტუციას შესაძლებლობა ექნება, მოიძიოს ინფორმაცია და დამოუკიდებლად შეაფასოს რისკები, რომლებიც წარედგინება სასამართლოს მხარეთა შუამდგომლობებთან ერთად, ამასთან, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში ზედამხედველობა გაუწიოს მათ აღსრულებას. საია მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ამგვარი ინსტიტუციის შექმნა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, გარდა ამისა, შესაძლოა, გამოიწვიოს მოსამართლეებსა და მხარეებში გარკვეული გაუგებრობა და უნდობლობა. ასეთი ტიპის ინსტიტუციის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია კონსენსუსის არსებობა პრაქტიკოს იურისტებს შორის. ამიტომაც ინსტიტუციის შექმნამდე აუცილებელია დებატები აღნიშნულ საკითხზე, რის შემდგომაც გამოიკვეთება, არსებობს თუ არა მისი შექმნის საჭიროება.

## IV. დასკვნა და რეკომენდაციები

### დასკვნა

საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლამ აჩვენა, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა ალკვეთის ღონისძიებების სახეებთან მიმართებით. თითოეულმა ქვეყანამ საკუთარი კულტურიდან, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა შექმნას იმგვარი ღონისძიებები, რომლებიც შეეფერება იმ კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ რეალობას. შესაბამისად, საიას მიერ შემოთავაზებული ცვლილებების კონცეფცია არ წარმოადგენს რომელიმე ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის ზუსტ ანალოგს, არამედ ის, ძირითადად, ეყრდნობა და ემყარება სწორედ საქართველოში არსებულ მდგომარეობას. ორგანიზაციის აზრით, ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად, დღეს არსებული მდგომარეობისგან განსხვავებით, შეიქმნება მაღალი სტანდარტი, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით არის დადგენილი.

ზემოაღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ პრობლემების მოგვარებას, რომელთა წინაშეც დგანან დღეს სასამართლო და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მხარეები ალკვეთის ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით. ალკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი მინიმუმამდე შეამცირებს გირაოსა და პატიმრობის გამოყენების ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთადერთი გამართლება სასამართლოსა თუ მხარეებისთვის არის სხვა არჩევანის არარსებობა. ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში ბრალდებულის ინტერესების დაცვის სტანდარტი გაიზრდება, რის შედეგადაც, მას აღარ შეეფარდება იმაზე მძიმე და აშკარად არაპროპორციული ალკვეთის ღონისძიების სახე, ვიდრე იმსახურებს.

ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრის არსებობა, სავარაუდოდ, გამოიწვევს პროკურორების მხრიდან გირაოს მოთხოვნის მაჩვენებლის შემცირებას. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი სათანადოდ არ დაასაბუთებს გირაოს (მათ შორის, თანხის ოდენობის) შესახებ შუამდგომლობას, მოსამართლეს უკვე ექნება ფართო დისკრეცია, გამოიყენოს სხვა ალტერნატიული ღონისძიებები. აღნიშნული კი, დაიცავს მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ბრალდებულებს და არ გამოიწვევს მათ მიმართ შეუსაბამოდ მძიმე ალკვეთის ღონისძიების გამოყენებას.

კვლევამ აჩვენა, რომ გარდა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა, პრობლემურია მხარეებისა და სასამართლოს მხრიდან ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიებების მიმართ სანდოობა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, რომლითაც ეფექტური და ეფექტიანი ალტერნატიული ღონისძიებები შეიქმნება, შესაბამისმა უწყებებმა პროცესში მონაწილე პირებს შესთავაზონ ტრენინგები, რომლის მიზანი იქნება საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა და ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიებების მიმართ ნდობის გაზრდა.

ასევე, მნიშვნელოვანია, შესაბამისმა უწყებებმა შექმნან მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის ერთგვარი გზამკვლევი (guideline), რათა ალკვეთის ღონისძიების შესახებ სასამართლო განხილვები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. გზამკვლევი უნდა იყოს მკაფიო და დეტალური, რათა გარანტირებული იყოს ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ერთგვაროვანი გამოყენება მთელ ქვეყანაში.

### **რეკომენდაციები:**

კვლევის საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემები არის კომპლექსური და ეხება როგორც სასამართლოს, ისე ბრალდების და დაცვის მხარეებს. ხარვეზები არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაშიც, რომელთა გამოსწორებაზე საკანონმდებლო ორგანომ უნდა იზრუნოს. საიამ მოამზადა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

### **საქართველოს პარლამენტს**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და ალკვეთის ღონისძიების სახეს - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ - მოეხსნას სასჯელსა თუ დანაშაულის კატეგორიაზე დამოკიდებულება.
- გირაოს თანხასთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერი შეიცვალოს და ამოღებული იყოს გირაოს მინიმალური ოდენობის განმსაზღვრელი თანხა.

- კანონმდებლობაში მოდიფიცირდეს ჩანაწერი „გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“ ნორმასთან დაკავშირებით იმგვარად, რომ მოსამართლისთვის ის იყოს „აღმჭურველი“ და არა - მავალდებულებელი, ამასთან, არასაპატიმრო გირაოს გამოყენება შესაძლებელი იყოს დაკავებულ ბრალდებულებთან მიმართებითაც.
- შინაპატიმრობა განისაზღვროს აღკვეთის ღონისძიების ძირითად სახედ. ამოღებული იყოს ელექტრონული მონიტორინგი, როგორც დამატებითი აღკვეთის ღონისძიების სახე.

### **საერთო სასამართლოებს**

- სასამართლოებმა უნდა ისარგებლონ მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებები (ალტერნატიული ღონისძიებები, პატიმრობისა და გირაოს გარდა), ან საერთოდ უარი თქვან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, როდესაც პროკურორი ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას.
- სასამართლოებმა პროკურატურისგან უნდა მოითხოვონ აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის სათანადოდ დასაბუთება და მტკიცების ტვირთი უნდა დააკისრონ ბრალდების მხარეს.
- სასამართლო სხდომაზე, რომელზეც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გადასინჯვის საკითხი განიხილება, მოსამართლემ მეტი დრო უნდა დაუთმოს და სათანადოდ დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა თუ ძალაში დატოვების საჭიროება.

### **საქართველოს პროკურატურას**

- პროკურორებმა უფრო მეტად უნდა დაასაბუთონ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. იმავდროულად, უნდა განმარტონ, რატომ ვერ უზრუნველყოფს სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება შესაბამის მიზნებს.



- პროკურორებმა უნდა დაასაბუთონ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა და შეისწავლონ ბრალდებულის ქონებრივი და მატერიალური შესაძლებლობები.
- საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შექმნას სახელმძღვანელო პრინციპები აღკვეთის ღონისძიების შესახებ და, იმავდროულად, დანერგოს პროკურორებისთვის რეგულარული და სავალდებულო ტრენინგები აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებული მოთხოვნის შესახებ.

### **საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს**

- გაიწეროს სახელმძღვანელო პრინციპები აღკვეთის ღონისძიების შესახებ, რომლითაც სასამართლო განხილვები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარიმართება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სახელმძღვანელო მითითებები უნდა იყოს მკაფიო და დეტალური, რათა გარანტირებული იყოს ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ერთგვაროვანი გამოყენება მთელ ქვეყანაში.

### **იუსტიციის უმაღლეს სკოლას**

- უზრუნველყოს მოსამართლეებისთვის აღკვეთის ღონისძიების საკითხებზე რეგულარული და სავალდებულო ტრენინგების ჩატარება.

### **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას**

- დაინერგოს აღკვეთის ღონისძიების შესახებ რეგულარული და სავალდებულო ტრენინგები. აღნიშნული დაეხმარება ადვოკატებს, მეტი ინტენსივობით მოითხოვონ ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების სახეების გამოყენება ან/და ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება.